დანართი

საქართველო - I2Q - ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი

კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF)

მართვის სახელმძღვანელო

სარჩევი

1. ზოგადი დებულებები 4

1.1 შესავალი 4

1.2 CIF-ის მიზნები და ამოცანები 4

2. CIF-ის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების განხორციელების გეგმა და პრინციპები 7

2.1 საერთო განხორციელების გეგმა 7

2.2 განხორციელების პრინციპები 8

2.2.1. გრანტების მიზანი 8

2.2.2. პროექტის შედგენის პრინციპები 8

3. დაფინანსების ეტაპების აღწერა და მიზნები 10

4. CIF გრანტის ძირითადი მახასიათებლები 12

5. კონსორციუმი და პარტნიორობა 13

6. დასაშვებობის კრიტერიუმები (აპლიკანტებისა და პარტნიორებისთვის) 13

6.1 წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 13

6.2 პარტნიორები 13

6.2.1 საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 13

6.2.2 უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 13

6.2.3 პარტნიორები, რომლებიც არ არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 14

7. სათანადო და არასათანადო ხარჯები 14

7.1 სათანადო ხარჯები 14

7.2 არასათანადო ხარჯები 14

8. შერჩევის კრიტერიუმები 15

9. ორგანიზაციული მოწყობა 16

9.1 CIF-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და დაკომპლექტების წესი 17

9.1.1 სამინისტრო 17

9.1.2 CIF-ის ადმინისტრირების ერთეული 17

9.1.3 გრანტების გამცემი კომისია 19

9.2 საგრანტო წინადადებების შემფასებელი საკონსულტაციო კომპანია 20

10. სამოქმედო ინსტრუქციები და პროცედურები 20

10.1 კონკურსის გამოცხადება 23

10.2 განაცხადების წარდგენის პროცედურები 23
10.3 პროექტის შერჩევა 24
10.3.1 პროექტის შესაბამისობისა და სისრულის შეფასება - პირველი ეტაპი 24
10.3.2 განაცხადის განხილვა და შერჩევა - მეორე ეტაპი 24
10.4 შეტყობინება და საგრანტო შეთანხმებაზე ხელმოწერა 26
10.5 დაფინანსების პირველი ეტაპი 26
10.6 პროექტის განხორციელება და ანგარიშგება 26
10.7 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა 28
10.8 სანქცირებული სუბიექტები 28
10.9 პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა 28
10.10 კონკრეტული პროექტების მონიტორინგი და შეფასება 29
10.11 შესრულების ინდიკატორები 31
10.12 CIF-ის მექანიზმის საერთო მონიტორინგი და შეფასება 31
11. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები 31
11.1 შეფასების კრიტერიუმი №1: განაცხადის ხარისხი და შესაბამისობა, ინოვაციურ ასპექტებზე აქცენტირებით 32
11.2 შეფასების კრიტერიუმი №2: პარტნიორობის ხარისხი 33
11.3 შეფასების კრიტერიუმი №3: გუნდის შემადგენლობა და ბიუჯეტი 34
11.4 შეფასების კრიტერიუმი №4: განხორციელების გეგმა და მდგრადობა 34
12. გასაჩივრების მექანიზმი 35
13. აუდიტის პროცედურა 36
14. კონფიდენციალურობა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება 37
დანართების ჩამონათვალი: 39

1. ზოგადი დებულებები

1.1 შესავალი

2019 წლის ივნისში საქართველომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან ხელი მოაწერა სასესხო შეთანხმებას „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტის - საქართველო I2Q“ (შემდგომ - I2Q პროქტი) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით. I2Q პროექტის მიზნები მოიცავს: (i) სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას და (ii) განათლების ხარისხისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

I2Q პროექტი მოიცავს ხუთ ძირითად კომპონენტს (ნაწილს). მესამე კომპონენტის - უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების ვარიანტების გაძლიერება და უმაღლეს განათლებაში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - ფარგლებში ხელი შეეწყობა კონკურენტული ინოვაციის ფონდის (შემდგომ - CIF) შექმნას კერძო სექტორთან თანამშრომლობით. CIF-ის მიზანია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განისაზღვროს კონკრეტული მიმართულებები შემდგომი განვითარებისა და ინოვაციების კუთხით, ასევე განხორციელდეს ერთობლივი პროექტები სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების თანამონაწილეობით (კონსორციუმი), რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ თანამშრომლობით საქმიანობებს.

CIF-ისთვის მთავარ მარეგულირებელ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს მართვის სახელმძღვანელო (შემდგომში - სახელმძღვანელო ან OM). სახელმძღვანელოში მოცემულია CIF-ის ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერილობა, მთავარი პრინციპები და ამოცანები, მათი განხორციელების მექანიზმები, ასევე ფუნქციები და პროცედურები. სახელმძღვანელო მოწონებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ და დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ. აღნიშნული ადასტურებს, რომ CIF თანხვედრაშია როგორც ეროვნული განვითარების გეგმებთან, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებთან და ემსახურება მათ განხორციელებას.

1.2 CIF-ის მიზნები და ამოცანები

CIF-ის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას და შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებას. აღნიშნული მიზანი სრულ თანხვედრაშია როგორც სოციალურ-ეკონომიკურ და უმაღლესი განათლების სტრატეგიულ ეროვნულ ჩარჩოსთან, ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2020 წელს დამტკიცებულ სტრატეგიასთან, განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების უნიფიცირებულ სტრატეგიასთან და ბოლონიის პროცესთან.

CIF მოაზრებულია, როგორც მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებს სისრულეში მოიყვანონ მათი სტრატეგიული გეგმები. აღნიშნული მიიღწევა იმის საფუძველზე, რომ უნივერსიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი დაფინანსების განაცხად(ებ)ი დაეფუძნება უნივერსიტეტის მიერ მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას გარემო შესაძლებლობებისა და რისკების გათვალისწინებით. ამ მიდგომების გათვალისწინებით, სხვადასხვა აქტორებს - დეპარტამენტებს, ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებს - შორის თანამშრომლობისა და

კონკურენციის წახალისებით, CIF დააჩქარებს კონსტრუქციული ცვლილებებისა და ინსტიტუციური მოდერნიზაციის პროცესს.

კერძოდ, CIF განიხილება, როგორც სპეციალური მექანიზმი, რომლის მიზანიცაა, დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განახორციელონ მათი სტრატეგიული განვითარების გეგმები სახელმწიფოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

პროექტი უზრუნველყოფს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე კონსორციუმის წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები) მხარდაჭერას, რომლებსაც აქვთ ამბიცია და მისწრაფება, განახორციელონ ცვლილებები, რომლებიც სასარგებლო იქნება მათი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მკვლევარების, მომავალი დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. ყოველივე აღნიშნული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს მოდერნიზაციის საშუალებას, რათა: მათი საგანმანათლებლო პროგრამები დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ერთობლივად გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლების და შეფასების მეთოდები; მხარი დაუჭირონ აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას; შექმნან მყარი კავშირები სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, როგორც საქართველოში, ისე - მის ფარგლებს გარეთ; დანერგონ ინოვაციური პრაქტიკა სასწავლო და კვლევით გარემოში, ადგილობრივ კულტურასა და გარემოსთან შესაბამისობაში, და კონკურენტუნარიანი გახადონ საერთაშორისო კვლევითი საქმიანობა. CIF-ის შედეგები პოზიტიურად აისახება როგორც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) მიერ მომზადებულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამომავლო ანგარიშებში, ასევე საქართველოს და ინდივიდუალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო რეიტინგებსა და დასაქმების სტატისტიკაში. გრძელვადიან (10 წლიან) პერსპექტივაში, CIF შედეგებმა უნდა გააუმჯობესოს ინოვაციებთან დაკავშირებული გაზომვადი სტატისტიკა, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემულ საგრანტო პროექტებთან ერთად.

CIF დაფინანსება ხელმისაწვდომია უნივერსიტეტებისათვის, რომელთა მიზანიც იქნება, შეიქმნას ახალი ინიციატივები და ინოვაციური მიდგომები, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოწვევებს ეხმიანება, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიკის მეთოდების გამოყენებით კვლევის ინტეგრირებასა და უნივერსიტეტის მართვის სისტემის განვითარების მხარდაჭერას.

კერძოდ, დაფინანსების ფანჯრები (საგრანტო კონკურსი) გაიხსნება:
(ა) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელიც მის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით განსაზღვრავს კონკრეტულ მიმართულებებს შემდგომი განვითარებისა და ინოვაციების კუთხით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროექტის მთავარი ბენეფიციარი იქნება;

(ბ) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობით შექმნილი კონსორციუმისათვის. კონსორციუმის მიერ საგრანტო განაცხადის წარმოსადგენად, კონსორციუმი უნდა შედგებოდეს ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან (აქედან მინიმუმ ერთი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), რომლებიც პროექტის მთავარი ბენეფიციარები იქნებიან.

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, CIF-ის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განცხადებები უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორობის (თანამშრომლობის) დემონსტრირებას.

პარტნიორად შეიძლება განხილულ იყვნენ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი და/ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ CIF-ის გრანტების მომხმარებლები და ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი ინსტიტუციები - საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირები.

CIF გრანტების სქემა გაწერილია ისე, რომ იგი პატივს სცემს უნივერსიტეტების ავტონომიას, და ამავდროულად უბიძგებს მათ ჰოლისტურად იფიქრონ ინსტიტუციური დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებით. CIF-ის მიერ დასაფინანსებელი პროექტები, რომელთა მხარდაჭერაც იგეგმება, მოიცავს პროგრამების განვითარებას და განახლებას შრომის ბაზარზე კავშირების გასაძლიერებლად. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შინაარსში სფეროს უახლესი ტენდენციების ასახვას (ეს შეიძლება გულისხმობდეს, როგორც არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ასევე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას);
2. სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების შემოტანას, მათ შორის აუდიტორიულ სწავლებაში ისეთი თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნლოგიების გამოყენებას, როგორიცაა პრობლემათა გადაჭრისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning), ასევე ელექტრონული სწავლების მეთოდების გაძლიერება;
3. საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზებას კერძო სექტორის თანამონაწილეობით:

- სტუდენტებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით ინოვაციური კვლევების მხარდაჭერას ფაკულტეტის წევრების მიერ;
- საგანმანათლებლო პროგრამების რელევანტურობისა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, პროცესების დახვეწასა და შრომის ბაზრის და/ან კურსდამთავრებულთა კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას;
- სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ლაბორატორიებისა და სამუშაო შეხვედრების ხარისხის გაუმჯობესებას თანამედროვე სამეცნიერო ინსტრუმენტებითა და აღჭურვილობით;
- ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართულობით ერთობლივი ინოვაციური კვლევითი პროექტების შემუშავებას;
- კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშეწყობას აკადემიურ კვლევით პროექტებში (მაგ. ანალიტიკურ და სხვა ექსპერიმენტულ საშუალებებზე/ობიექტებზე/მოწყობილობებზე/აღჭურვილობებზე წვდომის მიღებით);
- ქსელების გაფართოებას და ქსელური/საინფორმაციო ღონისძიებების ხელშეწყობას, რომელიც აკავშირებს კონკრეტულ სექტორში უკვე დასაქმებულ სტუდენტებსა და

კურსდამთავრებულებს, ასევე აცნობს სტუდენტებს დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობებს შესაბამის კერძო კომპანიებში;

4. კურიკულუმის განვითარებაში შესაბამისი დამსაქმებლების ჩართულობას შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერების მიზნით;

5. ლაბორატორიების და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებას, პროექტის მიზნების მისაღწევად;

6. საგანმანათლებლო სისტემაში გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას, განსაკუთრებით სამეცნიერო, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) დარგებში, რაც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას, მოიზიდონ მდედრობითი სქესის სტუდენტები STEM პროგრამებში, რითაც მაქსიმალურად შემცირდება გენდერული უთანასწორობა STEM დარგებში.

2. CIF-ის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების განხორციელების გეგმა და პრინციპები

2.1 საერთო განხორციელების გეგმა

CIF საკონკურსო გრანტების მექანიზმს წარმოადგენს. სამწლიანი პერიოდის, 2022-2024 წლების, განმავლობაში დაგეგმილია CIF-ის 40-მდე გრანტის გაცემა. გრანტის მაქსიმალური ოდენობა - ერთი აპლიკანტის მიერ დამოუკიდებლად წარმოდგენილ ერთ საგრანტო წინადადებაზე შეადგენს არაუმეტეს 110 000 აშშ დოლარს[1], ხოლო კონსორციუმის მიერ წარმოდგენილ ერთ საგრანტო წინადადებაზე - არაუმეტეს 200 000 აშშ დოლარს[2]. CIF-ის იმპლემენტაციის პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამინისტრო.

CIF განხორციელდება 2 ეტაპად - პირველ წელს (2022) იქნება პირველი საპილოტე ეტაპი, რომლის ფარგლებში დაფინანსდება დაახლოებით 10 საგრანტო პროექტი, რომელსაც მოჰყვება მეორე ეტაპი 2023 წელს დამატებით დაახლოებით 30 საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად.

დამატებითი საგრანტო კონკურსის/კონკურსების გამოცხადება დამოკიდებულია სამომავლო დაფინანსებაზე.

CIF ითვალისწინებს, რომ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაძლებელი იქნება რამდენიმე გრანტის მიღება, თუმცა თითოეული გრანტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ გააჩნდეს ნათელი და კონკრეტული კავშირი დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმით იკვეთება, ხოლო კონსორციუმი უნდა დაკომპლექტდეს იმგვარად, რომ ქმნიდეს დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო უნარებისა და რესურსების ერთობლიობას.

იმ გრანტთა საერთო რაოდენობა, რომელსაც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს ერთი წლის განმავლობაში, შესაძლოა შეიზღუდოს იმ მიზნით, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს ჯანსაღი კონკურენცია დაფინანსების მისაღებად, ხოლო,

[1] საგრანტო თანხა გაიცემა ეროვნულ ვალუტაში.
[2] საგრანტო თანხა გაიცემა ეროვნულ ვალუტაში.

მეორე მხრივ, კონკრეტულ დაწესებულებაში არსებობდეს გრანტების დროული განხორციელებისთვის საჭირო შიდა რესურსი.

ერთი კონკრეტული თემატიკის მიმართულებით გასაცემ გრანტთა მაქსიმალურ რაოდენობას სამინისტრო განსაზღვრავს. ამასთან, საგრანტო კონკურსისათვის განსაზღვრულმა კონკრეტულმა თემებმა უნდა ასახოს როგორც სამინისტროს პრიორიტეტები განათლებისა თუ მეცნიერების მიმართულებით, ასევე I2Q პროექტის პრიორიტეტები.

2.2 განხორციელების პრინციპები

აღნიშნული ნაწილი ეხება იმას, თუ როგორ მოხდება CIF-ის კონკრეტული მიზნების პრაქტიკული განხორციელება, ასევე ასახავს იმ პრინციპებს, რომლებიც საგრანტო პროექტების შექმნისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

2.2.1. გრანტების მიზანი

CIF-ის მიზანია, ხელი შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზებას და შრომის ბაზართან მათი კავშირის გაძლიერებას. ამასთანავე, CIF გრანტების მიზანია, დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განახორციელონ მათი სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული ამოცანები როგორც სამინისტროს, ასევე ზოგადად - სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისად. შესაბამისად, CIF ორიენტირებული იქნება იმ საგრანტო წინადადებების დაფინანსებაზე, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და განახლების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით საგრანტო თემატიკის კონკრეტული ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის მე-3 თავში. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ თემატიკის ჩამონათვალი შედგენილია იმისათვის, რომ მაგალითები მისცეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და არ არის ამომწურავი.

2.2.2. პროექტის შედგენის პრინციპები

CIF გრანტები აგებულია 4 ძირითად პრინციპზე:

ა) უნივერსიტეტების ავტონომიურობის პატივისცემა, რაც ამავდროულად უბიძგებს მათ ჰოლისტურად იფიქრონ ინსტიტუციური დაგეგვმისა და განვითარების შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ მკაფიო მიდგომა, რომლის მიხედვით CIF გამოყენებული იქნება სტრატეგიული დაგეგმარების მექანიზმად შემდეგი საშუალებებით:

1. განსახორციელებელი ინოვაციების იდენტიფიცირებით, რომლებიც დაკავშირებულია მათ ძირითად აკადემიურ მიმართულებებთან, რომელსაც ისინი მიიჩნევენ მათ მსხვილ აქტივად;
2. პერსონალის პროფესიული განვითარების, მოკლევადიანი ტრენინგების, ექსპერტთა ვიზიტების დაგეგმვის, ლაბორატორიული აღჭურვილობის, კომპიუტერების, ტექნიკური დახმარების და სხვა საშუალებების სტრატეგიული კომბინაციის (ნაკრების) შერჩევით, რაც უნივერსიტეტებს მისცემს საშუალებას, წარმატებით განახორციელონ მათ მიერ შემოთავაზებული ინოვაციური პროექტი;

3. დაფინანსების განაცხადის გამოყენება ინსტიტუციური თვით-რეფლექსიისთვის, ასევე პრობლემის გადაჭრისა და პრიორიტეტების მიმართულებით შიდა-საუნივერსიტეტო დისკუსიისათვის;
4. ინსტიტუციური და კერძო სექტორთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის იდენტიფიცირებით, რაც გაზრდის მათთვის დაფინანსების მიღების შანსს;
5. განაცხადში მკაფიო მითითებით, რომ სისტემური შესწავლის/ანალიზის საფუძველზე აღმოჩენილია პრობლემები/გამოწვევები, შემუშავებულია მათი გადაჭრის მრავალწლიანი სტრატეგიები და იდენტიფიცირებულია შესაბამისი მიზნები, შესრულების ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები.

ბ) თითოეულ დაწესებულებაში განვითარების თანასწორად წახალისება

დასაშვებობა - CIF თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თუ მათ მიერ მოწოდებული საგრანტო განაცხადი შეესაბამება CIF-ის ზოგად საერთო მიზნებსა და ამოცანებს, არის მიღწევადი, აკმაყოფილებს წინამდებარე სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულ ხარისხისა და შესაბამისობის მოთხოვნებს და შეუძლია სტრატეგიული გავლენის მოხდენა.

ძალისხმევის აღიარება - ის განცხადებები, რომლებიც არ იქნება დაფინანსებული, არ ჩაითვლება, როგორც წარუმატებელი განაცხადები. აღნიშნულ განაცხადთა ტიპები დაკლასიფიცირდება, როგორც არასაკმარისად განვითარებული. ასეთი განაცხადების შემთხვევებში, აპლიკანტის ძალისხმევა, რაც გასწია განაცხადის შევსებაზე, აღიარებულ იქნება იმით, რომ მას შეეძლება მოითხოვოს განაცხადის დახვეწისთვის ტექნიკური დახმარება (გაიწევა CIF ადმინისტრირების ერთეულის მიერ), რაც სამომავლოდ გაზრდის მის შანსებს მოიპოვოს გრანტი.

გ) ანგარიშვალდებულება და კონტროლი

მიზნების განსაზღვრა და ანგარიშები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი იქნებიან დაადგინონ მკაფიო მოსალოდნელი შედეგები და ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPIs) და რეგულარულად წარუდგინონ ანგარიშები CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს, როგორც ტექსტური, ისე ფინანსური ანგარიშის სახით.

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საგრანტო პროექტების განხორციელება საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საგადასახო კოდექსის და სხვა რელევანტური რეგულაციების შესაბამისად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ სამინისტროსთან, მათ შორის, მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისათვის. დაწესებულებები აგრეთვე იღებენ პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი გარე აუდიტის მიერ გამოვლენილ შეუსაბამობებთან დაკავშირებით.

სტრატეგიული დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება - გრანტების გამცემი კომისია პასუხისმგებელი იქნება, როგორც CIF-ის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე საბოლოო შეფასების შედეგებზე.

დ) ფინანსები

პროექტი დაფინანსდება ორ ნაწილად.

პირველი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს სრული საგრანტო დაფინანსების 90%-ს, ხოლო მეორე ნაწილით ანაზღაურდება სხვა სათანადო ხარჯები, რომელიც შეთანხმებული იქნება საგრანტო შეთანხმებით და დადასტურებული იქნება აუდიტორის მიერ.

თანადაფინანსება - CIF-ის პროექტებისათვის მოითხოვება მინიმუმ 3% თანადაფინანსება. თანადაფინანსება შესაძლებელია გამოიხატებოდეს როგორც ფულად, ისე არაფულად კონტრიბუციაში, რომელიც აისახება პროექტის ბიუჯეტში.

კონტრიბუცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საქონლის/მომსახურების/კონსულტაციის ან სხვა მსგავსი სახით, არ უნდა აისახოს პროექტის ბიუჯეტში, თუ ის არ არის განფასებული; მსგავსი სახის არაფულადი კონტრიბუციის შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს CIF-ის საგრანტო პროექტის ნარატივში იმ აქტივობის ფარგლებში, რომლისთვისაც ის გამიზნულია. წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება თანადაფინანსების ნებისმიერი მტკიცებულება (ფულადი ან არაფულადი).

3. დაფინანსების ეტაპების აღწერა და მიზნები

CIF განხორციელდება 2 ეტაპად:

ეტაპი	საანგარიშო პერიოდი	გასაცემი გრანტების სავარაუდო რაოდენობა[3]
პირველი ეტაპი	გამოცხადება 2022 წელს	10
მეორე ეტაპი	გამოცხადება 2023 წელს	30

თითოეული ზემოაღნიშნული ეტაპი შეესაბამება პროგრამის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფი მოდერნიზაციის ხელშეწყობასა და შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებას“.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:
(ა) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (ერთი აპლიკანტი), რომელიც მის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით განსაზღვრავს კონკრეტულ მიმართულებებს შემდგომი განვითარებისა და ინოვაციების კუთხით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროექტის მთავარი ბენეფიციარი იქნება;
(ბ) კონსორციუმს, რომელიც შედგება მინიმუმ ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან (აქედან მინიმუმ ერთი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), რომლებიც, თავის მხრივ, კონსორციუმის პროექტის მთავარი ბენეფიციარები არიან.

[3] გრანტების ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება გრანტების გამცემი კომისიის მიერ შეფასების პროცესის შედეგად, დეტალურად იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს 9.1.3 პუნქტი.

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, CIF-ის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განცხადებები უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორობის (თანამშრომლობის) დემონსტრირებას.

პარტნიორად შეიძლება განხილულ იყვნენ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი და/ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ CIF-ის გრანტების მომხმარებლები და ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი ინსტიტუციები - საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირები.

სამინისტროს შეუძლია შესთავაზოს განმცხადებლებს, რომ თავიანთი საგრანტო წინადადებებისათვის მიუთითონ კონკრეტული თემა, რომელიც შეეხება, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შინაარსში სფეროს უახლესი ტენდენციების ასახვას (ეს შეიძლება გულისხმობდეს, როგორც არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ასევე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას);
- სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების შემოტანას, მათ შორის აუდიტორულ სწავლებაში ისეთი თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნლოგიების გამოყენებას, როგორიცაა პრობლემათა გადაჭრისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning), ასევე ელექტრონული სწავლების მეთოდების გაძლიერება;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზებას კერძო სექტორის თანამონაწილეობით:
  - სტუდენტებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით ინოვაციური კვლევების მხარდაჭერას ფაკულტეტის წევრების მიერ;
  - საგანმანათლებლო პროგრამების რელევანტურობისა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, პროცესების დახვეწასა და შრომის ბაზრის და/ან კურსდამთავრებულთა კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას;
  - სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ლაბორატორიებისა და სამუშაო შეხვედრების ხარისხის გაუმჯობესებას თანამედროვე სამეცნიერო ინსტრუმენტებითა და აღჭურვილობით;
  - ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართულობით ერთობლივი ინოვაციური კვლევითი პროექტების შემუშავებას;
  - კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშეწყობას აკადემიურ კვლევით პროექტებში (მაგ. ანალიტიკურ და სხვა ექსპერიმენტულ საშუალებებზე/ობიექტებზე/მოწყობილობებზე/აღჭურვილობებზე წვდომის მიღებით);
  - ქსელების გაფართოებას და ქსელური/საინფორმაციო ღონისძიებების ხელშეწყობას, რომელიც აკავშირებს კონკრეტულ სექტორში უკვე დასაქმებულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე აცნობს სტუდენტებს დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობებს შესაბამის კერძო კომპანიებში;
- კურიკულუმის განვითარებაში შესაბამისი დამსაქმებლების ჩართულობას შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერების მიზნით;
- ლაბორატორიების და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებას, პროექტის მიზნების მისაღწევად;
- საგანმანათლებლო სისტემაში გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას, განსაკუთრებით სამეცნიერო, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) დარგებში, რაც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას, მოიზიდონ მდედრობითი

სქესის სტუდენტები STEM პროგრამებში, რითაც მაქსიმალურად შემცირდება გენდერული უთანასწორობა STEM დარგებში.

სამინისტრომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება, როგორც პირველი (საპილოტე) საგრანტო კონკურსის გამოცხადებისას, ასევე შემდგომი კონკურსის გამოცხადებისას, რომ ზემოთ მითითებული თემების ჩამონათვალი შეამციროს ან გააფართოვოს.

საგრანტო დაფინანსება გაიცემა საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

თითოეული გრანტის განხორციელების მაქსიმალური პერიოდი შესაძლოა იყოს 18 თვე. აღნიშნული საანგარიშო პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს, თუკი სახეზე იქნება პროექტის განხორციელების შეფერხების არგუმენტირებული მიზეზი, ასევე რაიმე ტიპის გაუთვალისწინებელი და წინასწარ განუჭვრეტელი გარემოებები, ისეთი, როგორიცაა გლობალური ან ადგილობრივი პანდემია, ომი, პოლიტიკური ან/და სოციალური არეულობა, იმ შემთხვევაში, თუ ჩამოთვლილი გარემოებები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს პროექტის განხორციელებაზე და ვადის გაგრძელება შესაძლებელია არსებული დაფინანსების ფარგლებში. გრანტის განხორციელებისთვის დამატებითი დროის გაცემისას, დაუშვებელია დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა აპლიკანტის მხრიდან.

გრანტის განხორციელების მიზნით, აპლიკანტისთვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილება ეფუძნება წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ მოთხოვნას და მიიღება გრანტების გამცემი კომისიის მიერ.

გაცემული გრანტი შესაძლოა შეწყდეს, თუკი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ერთი აპლიკანტი) ან კონსორციუმის პროექტის შემთხვევაში, კონსორციუმის წევრი რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ვერ შეძლებს ხელახალი ავტორიზაციის გზით არსებული სტატუსის შენარჩუნებას; ან იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადი აგებული იყო ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის ირგვლივ, რომელმაც ხელახალი აკრედიტაცია ვერ გაიარა.

4. CIF გრანტის ძირითადი მახასიათებლები

აპლიკანტი, რომელიც უფლებამოსილია შეიტანოს საგრანტო განაცხადი, უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს კონსორციუმის წევრი ან საკუთარი ხელმძღვანელობით შექმნას კონსორციუმი, რომლის წევრებიც იქნებიან ერთი ან ერთზე მეტი საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საერთაშორისო საჯარო ან/და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კვლევითი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო პროექტი წარმოდგენილია კონსორციუმის მიერ, კონსორციუმის წევრებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თან უნდა დაერთოს საგრანტო განაცხადს.

პროექტისათვის თანადაფინანსების წარმოდგენა სასურველია როგორც წამყვანი აპლიკანტის, ასევე, მისი პარტნიორის (კონსორციუმის წევრი) მხრიდან. თანადაფინანსება შესაძლებელია

გამოხატული იყოს ფულადი ან/და არაფულადი სახით (მაგ., მომსახურება, საქონელი, კონსულტაცია, ფიზიკური ინფრასტრუქტურა და სხვა).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, ერთი საგრანტო კონკურსის ფარგლებში, წარადგინოს ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი.

5. კონსორციუმი და პარტნიორობა

კონსორციუმის შემთხვევაში, საგრანტო განაცხადში მითითებული უნდა იყოს პროექტის წამყვანი (ხელმძღვანელი) - სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საგრანტო განაცხადის წარმოდგენაზე, CIF-ის ფარგლებში ანგარიშების წარმოდგენასა და ყველა საჭირო კომუნიკაციაზე როგორც სამინისტროსთან, ასევე გრანტების გამცემ კომისიასა და CIF ადმინისტრირების ერთეულთან.

წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კონსორციუმის ყველა წევრთან აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლითაც რეგულირდება მათ შორის ურთიერთობები, რაც მოიცავს ასევე, CIF-ის ფარგლებში, წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პარტნიორების სახელით კომუნიკაციის წარმოების უფლებამოსილებას.

ნებისმიერი სახის პარტნიორობის დემონსტრირება (კონსორციუმის მიღმა), ასევე საჭიროებს დადასტურებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით.

6. დასაშვებობის კრიტერიუმები (აპლიკანტებისა და პარტნიორებისთვის)

6.1 წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

იმისათვის, რომ აპლიკანტმა წარადგინოს განაცხადი, სავალდებულოა ის იყოს ავტორიზებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნებული უნდა იყოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადი აგებულია ერთი ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის ირგვლივ, აღნიშნული პროგრამა/პროგრამები უნდა იყოს აკრედიტებული. გადაწყვეტილება აკრედიტაციის თაობაზე საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. პროგრამას შესაძლოა ჰქონდეთ სრული ან პირობითი აკრედიტაცია.

6.2 პარტნიორები

6.2.1 საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაშვებობის კრიტერიუმები წინამდებარე სახელმძღვანელოს 6.1 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების ანალოგიურია.

6.2.2 უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

იმისათვის, რომ უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს თანამშრომლობისთვის უფლებამოსილი, საჭიროა მას გააჩნდეს შესაბამისი ქვეყნის უფლაბამოსილი ორგანოს მიერ მინიჭებული აკრედიტაცია/ავტორიზაცია.

გადაწყვეტილება აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აკრედიტაციის/ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე გამოქვეყნებული უნდა იყოს შესაბამისი

ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ან/და ასახული იყოს სანდო საერთაშორისო სარეგისტრაციო ბაზებში/რეესტრში.

6.2.3 პარტნიორები, რომლებიც არ არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

იმ პარტნიორებმა, რომლებიც არ არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (მათ შორის, მაგალითად, ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი ან/და საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები) უნდა წარადგინონ მათი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ასლები, რათა დაადასტურონ მათი სტატუსი. სამინისტროს უფლება აქვს, კონკურსის გამოცხადებამდე, გარკვეული სახის შეზღუდვები დააწესოს კონსორციუმის შემადგენლობასთან დაკავშირებით ან/და კონკურსის მიმდინარეობისას მოითხოვოს კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა ორგანიზაციის სტატუსის დასადასტურებლად.

7. სათანადო და არასათანადო ხარჯები

7.1 სათანადო ხარჯები

CIF დააფინანსებს შემდეგ ხარჯებს:

1. ლაბორატორიებისთვის ახალი ინვენტარის შეძენა და შენახვა;
2. თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების შეძენა;
3. სამეცნიერო ჟურნალების განახლებად ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შეძენა;
4. საოპერაციო (მაქს. პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 2%-მდე) და ადმინისტრაციული ხარჯები, გრანტის ხელფასების ჩათვლით (ჯამში მაქს. პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 10%-მდე, ხოლო ერთ პირზე გასაცემი ხელფასის ნაწილში - ქვეყანაში საშუალო ხელფასის მაქსიმუმ სამჯერად ოდენობამდე);
5. თანამშრომლობითი შეხვედრებისთვის მგზავრობის ხარჯები, ასევე ხარჯები უცხოეთიდან მოწვეული პროფესორების/მკვლევრების მისაღებად;
6. ტექნიკური მხარდაჭერისა და ტრენინგების ჩატარების ხარჯები;
7. არაპირდაპირი/გაუთვალისწინებელი ხარჯები, ისეთები, როგორიცაა მანქანის ქირაობა, საოფისე ნივთები, ადგილობრივი ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, კომუნალური ხარჯები, მოვლა-შენახვის ხარჯები, სათადარიგო და სახარჯი მასალები.

დანახარჯების გადანაწილება კარგად დაბალანსებული უნდა იყოს.

სამინისტროს უფლება აქვს დააწესოს შეზღუდვები გრანტების გაცემის კონკრეტული ეტაპისთვის სხვადასხვა საბიუჯეტო კატეგორიაზე.

7.2 არასათანადო ხარჯები

საგრანტო თანხები არ შეიძლება იყოს მოთხოვნილი აქტივობებისთვის, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

• პროცენტები ან დავალიანება რომელიმე მხარის წინაშე;

• დანახარჯები და რეზერვები შესაძლო სამომავლო დანაკარგების ან დავალიანებისთვის;

• სხვა ჩარჩოს, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მიერ უკვე დაფინანსებული აქტივობები;

• გართობისა და მასპინძლობის ხარჯები, მათ შორის: ბანკეტები, კულტურული პროგრამები, ცერემონიები და სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები;

• ალკოჰოლური სასმელები და თამბაქოს ნაწარმი;

• ვალუტის გადაცვლის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი დანაკარგები, საკომისიო ხარჯები და ჯარიმები;

• დაქირავების ან შენობიდან გადასვლის ხარჯები;

• პროცენტის გადახდა, სესხის გაცემა;

• ფონდების მოზიდვა;

• დამატებული ღირებულების გადასახადები, საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები;

• საბანკო საკომისიოები და განსხვავებები ვალუტის გადაცვლებში;

• საპროცენტო ან მიმდინარე დავალიანების გადახდა, რომელიმე მხარის მიმართ, მათ შორის, იგულისხმება ვალდებულებები, რომლებიც უკვე არსებობდა ან წარმოიშვა პროექტის განაცხადის განხილვისას, ან პროექტის დაფინანსების დამტკიცების შემდეგ;

• იმ ნივთების ან მომსახურების ხარჯები, რომლებიც უკვე ფინანსდება სხვა პროგრამის ან სუბიექტის მიერ;

• მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობების და/ან სხვა უძრავი ქონების შეძენის, იჯარის, ქვეიჯარის ან ადაპტაციის ხარჯებში (/ხარჯებში მონაწილეობა), მანქანა-დანადგარების, მოძრავი აქტივებისა და აღჭურვილობის ჩათვლით, თუ ისინი უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასთან;

• საჯარო დაფინანსების წყაროებით განსაზღვრული ხარჯები;

• საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ტერიტორიის დროებითი ან მუდმივი შეცვლის, თავშესაფრის დაკარგვის, აქტივების ან აქტივებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის, შემოსავლის წყაროების ან საარსებო წყაროს დაკარგვის გამო, ახალ ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებას, ან ნაკრძალებსა და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის უნებლიე შეზღუდვას;

• ნებისმიერი სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოები;

• სამგზავრო/კომერციული მანქანების შესყიდვა;

• ქონების (უძრავი ქონების) ყიდვა/იჯარა.

8. შერჩევის კრიტერიუმები

დასაფინანსებელი პროექტები შეირჩევა კონკრეტული და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც აპლიკანტების, ასევე შემფასებლებისთვის. ეს კრიტერიუმებია:

- განაცხადის ხარისხი და რელევანტურობა, ინოვაციურ ასპექტებზე აქცენტირებით;
- პარტნიორობის ხარისხი;

- გუნდის შემადგენლობა და ბიუჯეტი;
- განხორციელების გეგმა და მდგრადობა.

სამინისტროს უფლება აქვს დაადგინოს კონკრეტულ კრიტერიუმზე მისანიჭებელი პროცენტული ხვედრითი წილი. ხვედრითი წილის განსაზღვრის შემთხვევაში, აღნიშნული მკაფიოდ იქნება მითითებული კონკურსის გამოცხადების დროს, ასევე შესაბამის სახელმძღვანელოებში - აპლიკანტებისათვის (დანართი №1) და შემფასებლებისათვის (დანართი №2).

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე, დადგენილი წესის მიხედვით (იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-11 თავი), საგრანტო განაცხადები შეფასდება სულ მცირე 2 შემფასებლის მიერ, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საერთაშორისო შემფასებელი. შემფასებელთა ქულებს შორის არსებითი განსხვავების შემთხვევაში (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ქულებს შორის სხვაობაა მინ. 4 ქულა ან როდესაც ერთი შემფასებლის მიერ საგრანტო განაცხადი შეფასებულია 14 ქულაზე მეტით, ხოლო მეორე შემფასებლის მიერ - 14 ან ნაკლები ქულით), პროექტის შერჩევის მეორე ეტაპზე (სახელმძღვანელოს 10.3.2 ქვეთავი) განაცხადების შეფასების მიზნით შერჩეული საკონსულტაციო კომპანია (შემდგომში - საკონსულტაციო კომპანია) ვალდებულია შეფასებაში ჩართოს მე-3 შემფასებელი. შემფასებლები ვალდებულნი არიან, პროცესის მსვლელობისას იყვნენ მიუკერძოებლები, განაცხადონ, რომ მათ არ აქვთ ინტერესთა კონფლიქტი და ხელი მოაწერონ კონფიდენციალურობის შეთანხმებას.

დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ ხდება კონკრეტული კრიტერიუმის შეფასება, მოცემულია შესაბამის სახელმძღვანელოებში - აპლიკანტებისათვის (დანართი №1) და შემფასებლებისათვის (დანართი №2). დასახელებულ სახელმძღვანელოებში დადგენილია საგრანტო განაცხადების შეფასების კონკრეტული წესები. განაცხადის განხილვის პროცესში რამდენიმე შემფასებლის ჩართულობა ამცირებს შემფასებლის მხრიდან მიკერძოებულობის რისკს, ამასთან შეფასების დეტალური ინსტრუქციის არსებობა უზრუნველყოფს აპლიკანტთა ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას.

შეფასების სქემა უზრუნველყოფს პროექტის შეფასებას სათანადო ქულების სტრუქტურით, რაც შესაძლებლობას იძლევა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყოს კონკრეტული ქულების საფუძველზე. აღნიშნული, ასევე უზრუნველყოფს შეფასებათა დასაბუთებას და შესაძლებელს ხდის, რომ განმცხადებელს მიეცეს რჩევა, სამომავლოდ განაცხადის გასაუმჯობესებლად.

ყველა განაცხადი შემფასებლებისგან მიიღებს სათანადო უკუკავშირს მათი განაცხადების ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე თითოეული კრიტერიუმთან მიმართებით, ასევე მიმართულებას, თუ როგორ შეიძლება განაცხადის გაუმჯობესება.

უკუკავშირზე დაყრდნობით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ხელახლა წარადგინოს განაცხადი დაფინანსებისთვის ახალი საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

9. ორგანიზაციული მოწყობა

CIF ჩამოყალიბებულია, როგორც სამინისტროს მიერ კოორდინირებული საკონკურსო გრანტების გაცემის მექანიზმი. წინამდებარე სტრუქტურა წარმოაჩენს CIF დამტკიცებულ სტრუქტურას.



9.1 CIF-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და დაკომპლექტების წესი

9.1.1 სამინისტრო

სამინისტრო პასუხისმგებელია CIF-ის იმპლემენტაციაზე. სამინისტროს ამ ფუნქციის მხარდამჭერია CIF-ის ადმინისტრირების ერთეული. ამასთან, სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს გრანტების გამცემ კომისიასთან, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს ინსტიტუციურ რგოლს CIF-ის მიზნებისათვის და ახდენს შეფასებების რანჟირებას. სამინისტრო ამტკიცებს გრანტების გამცემი კომისიის შემადგენლობასა და ითანხმებს საკონსულტაციო კომპანიის მიერ წარმოდგენილ დამოუკიდებელ შემფასებელთა სიას (შემფასებელთა კორპუსი). სამინისტრო აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს საგრანტო კონკურსის გამარჯვებულებთან.

9.1.2 CIF-ის ადმინისტრირების ერთეული

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ექვემდებარება სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტს. პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტთან დაკავშირებულ აქტივობებზე ანგარიშები წარედგინება სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული შედგება სულ მცირე 4 თანამშრომლისგან:

1. CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პროექტების მართვის სათანადო გამოცდილება, მათ შორის, მონიტორინგის და შეფასების მიმართულებით;
2. იურისტი, რომელსაც გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში, საგრანტო დაფინანსების ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებით;

3. ფინანსისტი, რომელსაც გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში საგრანტო დაფინანსების და შესყიდვების პროცედურების მიმართულებით;
4. განათლების სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის გამოცდილება, სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ორიენტირებული აქტივობების მიმართულებით.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული პასუხისმგებელია CIF-ის ყოველდღიურ საქმიანობაზე, მათ შორის, კონკურსის გამოცხადებაზე, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის განხორციელებაზე, ასევე რელევანტური უკუკავშირის მიღებაზე დაფინანსების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით. იგი, ასევე, ხელს უწყობს გრანტების გამცემი კომისიის საქმიანობას, რისთვისაც აწარმოებს მუდმივ კომუნიკაციას სავარაუდო აპლიკანტებთან და გრანტის მიმღებთან. CIF-ის ადმინისტრირების ერთეული გამართულად ფუნქციონირებისთვის ახორციელებს შემდგომ აქტივობებს:

1. უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის გამოცხადების პროცედურისთვის საჭირო წინამოსამზადებელ სამუშაოებს;
2. უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამიზნე ჯგუფებთან (ბენეფიციარებთან) კომუნიკაციასა და ინფორმაციის გავრცელებას;
3. უზრუნველყოფს, რომ გრანტების გამცემი კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადს და ინახავს აღნიშნულ დოკუმენტებს;
4. შეიმუშავებს და გრანტების გამცემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს თითოეული საგრანტო კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტაციას;
5. აწარმოებს გრანტების გამცემი კომისიის სხდომის ოქმებს;
6. კოორდინირებას უწევს საკონსულტაციო კომპანიის საქმიანობას, უზრუნველყოფს შემფასებელთა კორპუსის შემადგენლობის სამინისტროსთან შეთანხმებას, ასევე, საკონსულტაციო კომპანიის მიერ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადის (დანართი №7ა) ხელმოწერას და საკონსულტაციო კომპანიის მიერ შემფასებლებთან დადებული კონფიდენციალურობის შეთანხმებების შენახვას;

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ახორციელებს ასევე შემდეგ აქტივობებს:

1. საკონსულტაციო კომპანიის შერჩევის მიზნით, ტექნიკური დავალების მომზადება და სამინისტროსთან შეთანხმება;
2. საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება CIF-ისათვის, მათ შორის, საინფორმაციო დღეებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება, შესაძლო ტექნიკური დახმარების ორგანიზება აპლიკანტებისთვის;
3. საგრანტო განაცხადის დასაშვებობისა და სისრულის შემოწმება;
4. თითოეული საგრანტო განაცხადის გადაცემა საკონსულტაციო კომპანიისთვის, რომელიც უზრუნველყოფს შემფასებლებისგან დროებითი ჯგუფ(ებ)ის შექმნას;
5. საკონსულტაციო კომპანიისგან მიღებული შეფასებების მიწოდება გრანტების გამცემი კომისიისათვის;
6. გასაჩივრების პროცედურების წარმართვა/მხარდაჭერა და საბოლოო შედეგების აღრიცხვა;

7. საგრანტო შეთანხმებისა და მისი ცვლილებების მომზადება და წარდგენა სამინისტროსთვის ხელმოსაწერად;

8. მონიტორინგის და შეფასების პროცედურების წარმართვა, მათ შორის:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტების ანგარიშების (ტექსტური და ფინანსური) მიღება, განხილვა და დამტკიცება, პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აქტივობების შესრულება, რომლებიც მიჩნეული იქნება საჭიროდ;

ბ) CIF-ის ზოგადი ინდიკატორების შესრულების მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი აქტივობების ორგანიზება, რომლებიც საჭიროდ იქნება მიჩნეული CIF-ის, როგორც დაფინანსების მექანიზმის, შეფასებისათვის.

9. საქმიანობის ანგარიშების რეგულარულად მომზადება და წარდგენა გრანტების გამცემი კომისიისათვის.

9.1.3 გრანტების გამცემი კომისია

გრანტების გამცემი კომისია შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან, რომელთაგან სულ მცირე ერთი წევრი არ არის დასაქმებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მაგ. ინდუსტრიის წარმომადგენელი), ასევე სულ მცირე ერთი წევრი არის საერთაშორისო ექსპერტი.

გრანტების გამცემი კომისია კომპლექტდება მეცნიერების, მაღალი სანდოობის მქონე დაინტერესებულ მხარეთა, ასევე დამსაქმებელთა წარმომადგენლებით. კომისიის წევრები შესაძლოა არჩეულები იყვნენ სახელმწიფო უწყებებიდან ან საუნივერსიტეტო სივრციდან, თუმცა ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ კონკრეტულ ინსტიტუციას და მხოლოდ საკუთარი სახელით უნდა მონაწილეობდნენ კომისიის საქმიანობაში. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია განაცხადოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ასევე განაცხადოს თვითაცილება, როდესაც გადაწყვეტილება შეეხება ინსტიტუციას, სადაც პირი დასაქმებულია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველი სუბიექტები არ შეიძლება იყვნენ კომისიის წევრები.

გრანტების გამცემი კომისია წარმოადგენს უმაღლეს ინსტიტუციურ რგოლს CIF-ის მიზნებისათვის, იღებს სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, განსაზღვრავს საგრანტო კონკურსის პრიორიტეტებსა და თემატიკას და ამტკიცებს CIF-ის ბიუჯეტს.

მას შემდეგ, რაც მიიღებს შემფასებლების შეფასების შედეგებს, გრანტების გამცემი კომისია პასუხისმგებელია საგრანტო პროექტების საბოლოო რანჟირებული სიის მომზადებასა და პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც ეფუძნება შეფასების შედეგებსა (რანჟირებას) და ხელმისაწვდომ ბიუჯეტს. საგრანტო პროექტების საბოლოო რანჟირება კეთდება მიღებული ქულებისა და ხელმისაწვდომი ბიუჯეტის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაკეთებული შეფასება/კომენტარი ითხოვს დამატებით დაკონკრეტებას, გრანტების გამცემ კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული განმარტება. განმარტებები უნდა იქნას წარდგენილი წერილობითი ფორმით და გადაეცეს CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს აღნიშნული წერილობითი განმარტების შენახვა საგრანტო განაცხადებთან ერთად.

საგრანტო წინადადებები, რომლებიც დაიმსახურებენ 2 შემფასებლის (ან სამი შემფასებლის, თუ მე-3 შემფასებელი ჩართულია შეფასების პროცესში) მხრიდან ჯამურად, საშუალოდ 14 ან ნაკლებ ქულას, არ იქნება დასაშვები დაფინანსების მოპოვების მიზნებისათვის და არ აისახება საგრანტო პროექტების რანჟირებულ სიაში.

გრანტების გამცემი კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს სამინისტროს წარმომადგენელი. გრანტების გამცემი კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის მინიმუმ 50%, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ეკუთვნის თავმჯდომარეს. კომისიის სხდომები შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად. ყველა შეხვედრის შესახებ უნდა შედგეს სათანადო სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. ოქმების შენახვაზე პასუხისმგებელია CIF-ის ადმინისტრირების ერთეული.

9.2 საგრანტო წინადადებების შემფასებელი საკონსულტაციო კომპანია

CIF-ის საგრანტო განაცხადების შერჩევის მეორე ეტაპზე (სახელმძღვანელოს 10.3.2 ქვეთავი) განაცხადების შეფასების მიზნით შერჩეული საკონსულტაციო კომპანია უზრუნველყოფს შემფასებელთა კორპუსის შექმნისათვის შესაბამისი შემფასებლების მოძიებასა და შერჩევას.

შემფასებელთა კორპუსი კომპლექტდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შემფასებლებისგან (ექსპერტებისგან).

საკონსულტაციო კომპანია, კონკრეტული საგრანტო განაცხადების შეფასების მიზნით, შემფასებელთა კორპუსიდან ქმნის შემფასებელთა დროებით ჯგუფებს.

თითოეული საგრანტო განაცხადი შეფასდება სულ მცირე 2 შემფასებლის მიერ, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საერთაშორისო შემფასებელი. შემფასებელთა ქულებს შორის არსებითი განსხვავების შემთხვევაში (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ქულებს შორის სხვაობაა მინ. 4 ქულა, ან როდესაც ერთი შემფასებლის მიერ საგრანტო განაცხადი შეფასებულია 14 ქულაზე მეტით, ხოლო მეორე შემფასებლის მიერ - 14 ან ნაკლები ქულით), საკონსულტაციო კომპანია ვალდებულია შეფასებაში ჩართოს მე-3 შემფასებელი.

შემფასებლები შეაფასებენ და მიანიჭებენ კონკრეტულ ქულას თითოეულ საგრანტო განაცხადს წინასწარ ცნობილი კრიტერიუმებისა და შემფასებელთა სახელმძღვანელოში (დანართი №2) გამოქვეყნებული საერთო წესების შესაბამისად. შემფასებლები თავიანთ შეფასებებს ასახავენ შეფასების ფორმაში, რომელიც შემდგომ გადაეცემა გრანტების გამცემ კომისიას (შეფასების ფორმა წარმოადგენს შემფასებელთა სახელმძღვანელოს ნაწილს - დანართი №2).

იმ შემთხვევაში, თუ შემფასებლები მოითხოვენ დამატებით ინფორმაციას/ინფორმაციას, რომელიც განაცხადში წარდგენილი არ არის, მათ აღნიშნულის თაობაზე უნდა შეატყობინონ CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებას შესაბამის დროში.

10. სამოქმედო ინსტრუქციები და პროცედურები

მოცემული ნაწილი წარმოადგენს სამოქმედო ინსტრუქციებსა და პროცედურებს, რომლებიც მიმდინარეობს CIF პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე. აღნიშნულში მოიაზრება როგორც საგრანტო კონკურსისთვის განაცხადების მიღების ეტაპი, ასევე შერჩევისა და შეფასების პროცედურები, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუქციები, ტექსტური და ფინანსური ანგარიშები, მონიტორინგი, ასევე შეფასებების ეტაპიც, რომლის დროსაც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული საკვანძო შესრულების ინდიკატორები (KPIs) და ასევე, ზოგადი შეფასების ინსტრუქციები, რაც CIF მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკული რეკომენდაციების გასაცემად გამოიყენება.

ქვემოთ სქემატურად გამოხატულია აღნიშნული პროცედურები, ხოლო წინამდებარე სახელმძღვანელოს შემდგომ პუნქტებში ასახულია თანმდევი დეტალური რეგულაციები. სქემა

წარმოაჩენს, რომ თითოეული დაფინანსების „ციკლისთვის“ საჭიროა 26 კვირა, საიდანაც 8 კვირა ეთმობა საგრანტო განაცხადების მიღებას. უშუალოდ დაფინანსებული საგრანტო პროექტის განხორციელების დროის თვალსაზრისით (თითოეული პროექტისათვის არაუმეტეს 18 თვიანი პერიოდი), მნიშვნელოვანია დაცული იყოს CIF პროექტის დასრულების საერთო ვადა - 2025 წლის ნოემბერი.


საგრანტო კონკურსის გამოცხადება
8 კვირა
პერიოდი საგრანტო განაცხადების გასაკეთებლად
განაცხადის დასაშვებობა (?)
არა
უარყოფითი პასუხი
კი
განაცხადის შეფასების პირველი ეტაპი (?)
არა
შეტყობინება
3 დღე
განაცხადის წარმოდგენა
2 დღე
კი
2 კვირა
განაცხადების საკონსულტაციო კომპანიისთვის გადაცემა
შეფასება
5 კვირა
სარეკომენდაციო რანჟირება
1 კვირა
უსდ-ს ინფორმირება დაფინანსების თაობაზე
1 კვირა
გასაჩივრების პროცედურები
2 კვირა
საბოლოო გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე
1 კვირა
ხელშეკრულების გაფორმება
4 კვირა
დაფინანსება (პირველი ტრანში)
მაქს. 18 თვე განხორციელებისთვის
მონიტორინგის და შეფასების ანგარიში
დაფინანსება - მეორე ტრანში
საბოლოო მონიტორინგი და შეფასება
პროექტების დასრულების მაქს. ვადა - 2025 წ, ნოემბერი

10.1 კონკურსის გამოცხადება

CIF-ის ფარგლებში გამოცხადდება ღია საჯარო კონკურსები საგრანტო განაცხადების მისაღებად. სამინისტრო განსაზღვრას კონკურსის გამოცხადების სიხშირეს და რაოდენობას. თავდაპირველი გეგმის თანახმად, საგრანტო კონკურსი გამოცხადდება ორჯერ - 2022 და 2023 წლებში.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ ორივე საკონკურსო პერიოდში წარმოადგინონ შეუზღუდავი რაოდენობის საგრანტო განაცხადები.

კონკურსი გამოცხადდება სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. აღნიშნულის პარალელურად, ინფორმაცია ასევე განთავსდება CIF ვებ-პლატფორმაზეც. ინფორმაციის გავრცელების მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პლატფორმები და საშუალებები, ისეთი, როგორიცაა - ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, სატელევიზიო საშუალებები, ასევე პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო არხები. ინფორმაციის გავრცელების შესაბამისი ღონისძიებების შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნება წინასწარ, საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ, გრანტების გამცემ კომისიასთან კონსულტაციით.

საგრანტო განაცხადების მიღება იწარმოებს 8 კვირის განმავლობაში. დროის ეს მოცულობა შესაძლებელია შეიცვალოს სამინისტროს მიერ, გრანტების გამცემ კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე.

10.2 განაცხადების წარდგენის პროცედურები

აპლიკანტმა საგრანტო განაცხადის წარსადგენად უნდა გამოიყენოს განაცხადის ოფიციალური ფორმა (დანართი №3).

შევსებული განაცხადი აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ელექტრონულად, სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ფორმატში. დოკუმენტბრუნვა შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად განხორციელდეს, ელექტრონული ფოსტის ან/და CIF პორტალის მეშვეობით.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული პასუხისმგებელია, რომ აპლიკანტებს დაუდასტუროს საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის ვადებში წარდგენილი საგრანტო განაცხადების მიღება. განაცხადის მიღების დადასტურების შესახებ შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს, როგორც ავტომატურად - პორტალის მეშვეობით, ასევე, CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის ვალდებულია, იმ აპლიკანტებს, რომლებმაც კონკურსის ვადის გასვლის შემდეგ გააკეთეს განაცხადები, გაუგზავნოს სათანადო შეტყობინებები. ეს შეტყობინება, შესაძლოა გენერირდეს ავტომატურად - პორტალის მეშვეობით, რომელიც ავტომატურად შეზღუდავს ვადის გასვლის შემდგომ დოკუმენტაციის ატვირთვას. ალტერნატივის სახით, შესაძლებელია, კონკურსის ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებული განაცხადების არმიღების შესახებ, აპლიკანტს შეტყობინება გაეგზავნოს CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ, რომელშიც მიეთითება საგრანტო განაცხადის მიღების ოფიციალური თარიღი.

საგრანტო განაცხადთა მიღების პროცედურის მსვლელობისას, სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეკითხვების წარმოდგენის შემთხვევაში, აპლიკანტებს მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია. სამინისტრო განსაზღვრას ვადას საინფორმაციო ხასიათის კითხვების წარმოდგენისა და მათზე პასუხის გაცემისთვის.

10.3 პროექტის შერჩევა

10.3.1 პროექტის შესაბამისობისა და სისრულის შეფასება - პირველი ეტაპი

საგრანტო განაცხადების წარმოდგენის შემდგომ, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული პასუხისმგებელია განაცხადის შესაბამისობისა და სისრულის შემოწმებაზე, რაც გულისხმობს თანდართული დოკუმენტების პირველად განხილვასაც, მათ შორის, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ავტორიზაცია, კერძო კომპანი(ებ)ის რეგისტრაცია, თანადაფინანსების მტკიცებულებები, მესამე პირებთან გაფორმებული შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებები და ა.შ.

შესაბამისობისა და სისრულის შემოწმება უნდა ჩატარდეს საგრანტო განაცხადების მიღების ვადის გასვლიდან 2 კვირის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს მოეთხოვება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, მან ეს ინფორმაცია უნდა წარადგინოს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. CIF-ის ადმინისტრირების ერთეული დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციას ამოწმებს ინფორმაციიის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. მხოლოდ სრულად შევსებული, ხელმოწერილი და ელექტრონულად წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი უნდა იქნას დაშვებული შეფასების შემდგომ ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს არ ექნება წარმოდგენილი ყველა საჭირო და სრული ინფორმაცია, პროექტის შესაბამისობის დადგენის მიზნებისთვის, საამისოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში, მის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი არ იქნება დაშვებული შეფასების შემდგომ ეტაპზე და აპლიკანტი გამოეთიშება საგრანტო კონკურსს. აღნიშნულის შესახებ აპლიკანტს გაეგზავნება შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, და მას შესაძლებლობა ექნება, არსებული ხარვეზები გამოასწოროს და ახალი საგრანტო განაცხადი წარადგინოს მომდევნო საგრანტო კონკურსის გამოცხადების დროისათვის. ერთი საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობისა და სისრულის შემოწმების წარუმატებლობა, არ ართმევს აპლიკანტს იმის უფლებას, რომ გამოასწოროს ხარვეზები და მონაწილეობა მიიღოს ახალ საგრანტო კონკურსში.

შესაბამისობისა და სისრულის შემოწმებისათვის გათვალისწინებული 2 კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ყველა აპლიკანტს გაუგზავნის შეტყობინებას შეფასების პირველი ეტაპის შედეგების შესახებ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აპლიკანტებს, რომლებიც არ დაეთანხმებიან პირველი ეტაპის შეფასების შედეგებს, შეუძლიათ ისარგებლონ გასაჩივრების პროცედურებით (წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-12 თავი).

10.3.2 განაცხადის განხილვა და შერჩევა - მეორე ეტაპი

შერჩევის პირველი ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, საგრანტო განაცხადები მეორე ეტაპზე მოწმდება შემფასებლების მიერ. თითოეული განაცხადი შეფასებული იქნება 2 შემფასებლის მიერ, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საერთაშორისო შემფასებელი. შეფასებისას გამოიყენება ის ინსტრუქციები, რომლებიც მოცემულია შემფასებელთა სახელმძღვანელოში (დანართი №2). შეფასების კრიტერიუმები ანალოგიურად ასახულია აპლიკანტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოშიც (დანართი №1). შემფასებელთა ქულებს შორის არსებითი განსხვავების შემთხვევაში (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ქულებს შორის სხვაობაა მინ. 4 ქულა, ან როდესაც ერთი შემფასებლის მიერ საგრანტო განაცხადი შეფასებულია 14 ქულაზე მეტით, ხოლო მეორე შემფასებლის მიერ - 14 ან ნაკლები ქულით), საკონსულტაციო კომპანია ვალდებულია შეფასებაში ჩართოს მე-3 შემფასებელი.

CIF ადმინისტრირების ერთეული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საკონსულტაციო კომპანიას უგზავნის საგრანტო განაცხადებს, პროექტის შერჩევის მეორე ეტაპზე (სახელმძღვანელოს 10.3.2 ქვეთავი) განაცხადების შეფასების მიზნით.

საკონსულტაციო კომპანია ვალდებულია, დაადასტუროს ელექტრონული ფოსტით საგრანტო განაცხადების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, რომ ჩაიბარა სათანადო დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, საკონსულტაციო კომპანია ჩაანაცვლებს შემფასებელს/შემფასებლებს. ჩანაცვლება შეიძლება მოხდეს იმ დრომდე, სანამ არ იქნება შერჩეული დასაშვები კანდიდატი (შემფასებელი, რომელსაც არ ექნება ინტერესთა კონფლიქტი).

საგრანტო განაცხადების მიღების დღიდან, საკონსულტაციო კომპანიას აქვს ხუთკვირიანი ვადა, სათანადო შეფასების განსახორციელებლად. დროის აღნიშნული მონაკვეთი შესაძლოა გაგრძელდეს სამინისტროს მიერ, გრანტების გამცემ კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, იმგვარი გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა მიღებული საგრანტო განაცხადების რაოდენობა, შემფასებელთა კორპუსის მოცულობა და ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, რა დროსაც საჭირო გახდა განაცხადების სხვა შემფასებლებისათვის გადაცემა.

საგრანტო განაცხადების შეფასებაზე მუშაობისას შემფასებლები გამოიყენებენ იმ ფორმებს, რომელიც მათთვის იქნება გაზიარებული შეფასების მიზნებისთვის. CIF-ის ადმინისტრირების ერთეულმა საკონსულტაციო კომპანიას შესაძლებელია მოსთხოვოს, რომ წარმოებული დოკუმენტაცია ატვირთოს საგრანტო პლატფორმაზე, ან ალტერნატივის სახით, გადააგზავნოს ზემოთ ხსენებული დოკუმენტაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

გრანტების გამცემი კომისია ვალდებულია, შეაჯამოს შეფასების შედეგები და მოახდინოს საგრანტო პროექტების რანჟირება.

გრანტების გამცემი კომისია განსაზღვრავს იმ განაცხადების სიას, რომლებზეც გაიცემა დაფინანსება. აღნიშნული დამოკიდებული იქნება ხელმისაწვდომი დაფინანსებისა და ინდივიდუალური პროექტებით მოთხოვნილი თანხების მოცულობაზე. საბოლოო რანჟირების მიხედვით, პროექტები დაფინანსდება ხელმისაწვდომი დაფინანსების ფარგლებში, მანამ სანამ გამოყოფილი დაფინანსება არ ამოიწურება. პროექტების დაფინანსება არ ხდება ნაწილობრივად. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა, რომ შემდგომი აპლიკანტის სრული დაფინანსებისათვის მიმდინარე საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი საკმარისი არ არის, აპლიკანტი არ დაფინანსდება, ხოლო დასაფინანსებლად გამოყოფილი დარჩენილი თანხა დაემატება მომდევნო საგრანტო კონკურსის ბიუჯეტს.

გრანტების გამცემმა კომისიამ, შეფასების პროცესის დასრულებიდან, ერთი კვირის ვადაში, უნდა დაამტკიცოს იმ პროექტთა სია, რომლებიც მიიღებენ დაფინანსებას.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული როგორც წარმატებულ, ისე წარუმატებელ აპლიკანტებს გაუგზავნის სათანადო შეტყობინებასა და საბოლოო შედეგებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული შეტყობინება უნდა გაიგზავნოს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება გრანტების გამცემი კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

თითოეული აპლიკანტი, უკუკავშირის სახით, მიიღებს მათი პროექტის შეფასებისას მინიჭებულ ქულას, მათ სარეიტინგო ნომერს რანჟირების ერთიანი სიიდან და შემფასებლების მიერ გაკეთებულ კომენტარებს მათი საგრანტო განაცხადის არსებითად ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

შეტყობინებაში აღინიშნება, რომ საგრანტო შეთანხმების გაფორმება დამოკიდებული იქნება გასაჩივრების პროცედურების დასრულებაზე. შეტყობინებითვე მიეთითება საბოლოო ინფორმაციის მიწოდების ვადები. ის აპლიკანტები, რომლებიც არ ეთანხმებიან გრანტების გამცემი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ გასაჩივრების პროცედურებით (დეტალურად იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-12 თავი).

გრანტების გამცემ კომისიას აქვს დამატებით 5 სამუშაო დღე, გასაჩივრების პროცედურების დასრულების შემდეგ, დასაფინანსებელი კანდიდატების საბოლოო სიის განსაზღვრისათვის.

აღნიშნული სია გამოქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე, გრანტების გამცემი კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

10.4 შეტყობინება და საგრანტო შეთანხმებაზე ხელმოწერა

საბოლოო გადაწყვეტილების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან, 1 სამუშაო დღის ვადაში, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული აპლიკანტებს უგზავნის შეტყობინებას საბოლოო შედეგების შესახებ. წარმატებულ აპლიკანტებთან გაგზავნილი შეტყობინება მოიცავს საგრანტო შეთანხმების ხელმოწერის პროცედურასთან დაკავშირებით ინფორმაციასაც.

საგრანტო შეთანხმების პროექტი (ფორმა) ხელმისაწვდომი იქნება სამინისტროს ვებგვერდზე ან/და CIF საგრანტო პორტალზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, დაფინანსების მოპოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან, 4 კვირის განმავლობაში მოაწეროს ხელი საგრანტო შეთანხმებას. ხელმოწერილ საგრანტო შეთანხმებას თან უნდა დაერთოს ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე კონსორციუმის შეთანხმება (კონსორციუმის არსებობის შემთხვევაში) და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც სავალდებულო იქნება საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად. შეთანხმების ხელმოწერისათვის განსაზღვრული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს გრანტების გამცემი კომისიის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ კომისია მისთვის წარდგენილ წერილობით თხოვნას (შუამდგომლობა ვადის გაგრძელებაზე შესაძლებელია წარდგენილ იქნას ელ.ფოსტის მეშვეობით) ვადის გაგრძელების შესახებ, არგუმენტირებულად და დასაბუთებულად ჩათვლის (მაგ. ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის არყოფნა).

იმ აპლიკანტებთან გაგზავნილი შეტყობინება, რომლებმაც ვერ მოიპოვეს დაფინანსება, ორიენტირებული იქნება მათი მხრიდან შემფასებელთა უკუკავშირის გათვალისწინებისა და შემდგომ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების წახალისებისაკენ.

10.5 დაფინანსების პირველი ეტაპი

საგრანტო შეთანხმებაზე ხელმოწერიდან უახლოეს პერიოდში მოხდება დაფინანსების პირველი ტრანშის გადარიცხვა. აღნიშნული თანხა მოიცავს გაცემული გრანტის სრული მოცულობის 90%-მდე თანხას.

დარჩენილი 10%-ის გადარიცხვა განხორციელდება სხვა დასაშვები ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც გათვალისწინებული იქნება საგრანტო შეთანხმებით და დადასტურებული იქნება აუდიტორის მიერ.

10.6 პროექტის განხორციელება და ანგარიშგება

თითოეული პროექტის სრულად განსახორციელებლად გათვალისწინებულია არაუმეტეს 18 თვე, საგრანტო შეთანხმებაზე ხელის მოწერის მომენტიდან.

პროექტები უნდა განხორციელდეს იმ გეგმის მიხედვით, რაც წარმოადგინა კანდიდატმა საგრანტო განაცხადში, ასევე დაცული უნდა იყოს CIF მითითებები და წესები, რომლებიც უკავშირდება ბიუჯეტსა და შესყიდვებს. პროექტის განხორციელება, ასევე, შესაბამისობაში უნდა იყოს ანტი-კორუფციულ და გარემოსდაცვით წესებთან, რომელიც მოცემულია ქვემოთ ამავე სახელმძღვანელოში.

საწყისი გეგმიდან ნებისმიერი ძირეული გადახვევა, მაგალითად, დიდმასშტაბიანი ცვლილებები პერსონალში ან პარტნიორებში, ელექტრონული ფოსტით უნდა ეცნობოს CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს, რომელმაც შესაძლოა, დანიშნოს შეხვედრა გრანტების გამცემ კომისიასთან, რათა განიხილონ საკითხის მნიშვნელობა. არსებითი ცვლილებები არ შეიძლება განხორციელდეს გრანტების გამცემი კომისიის წერილობითი თანხმობის გარეშე. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იქნება არსებითი ცვლილებების განხორციელების საჭიროება, აღნიშნულის თაობაზე გრანტების გამცემი კომისიის თანხმობის მიღებამდე, პროექტის მიმდინარეობა უნდა შეჩერდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია მისი განხორციელება თავდაპირველად შეთანხმებული - საწყისი გეგმის მიხედვით. ის პროექტიები, რომელთა ცვლილებების შესახებ არ მოხდება CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის ინფორმირება და არ გაიცემა თანხმობა გრანტების გამცემი კომისიის მიერ, ატარებენ რისკს იმისა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ფინანსური და ტექსტური ანგარიშები არ იქნას შემდგომში დადასტურებული და პროექტის ფარგლებში ხარჯები არ ანაზღაურდეს.

პროექტის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ბენეფიციარი) ვალდებულია, CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს რეგულარულად წარუდგინოს პროექტის ტექსტური და ფინანსური ანგარიშები (CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ მოთხოვნილი ფორმით). აღნიშნული პროცედურა, როგორც წესი, განხორციელდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ, თუმცა სამინისტრო იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები აღნიშნულ წესში კონკურსის გამოცხადებამდე. ანგარიშები უნდა იყოს ხელმოწერილი პროექტის ხელმძღვანელი პირის მიერ, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და რექტორის მიერ. ანგარიშები მიიღება ელექტრონული ფოსტით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამინისტრო მოითხოვს CIF-ის საგრანტო პორტალზე მათ ატვირთვას. ანგარიშების ჩაბარების თაობაზე ეცნობებათ დაწესებულებებს ელექტრონულად, ავტომატურად ან ინდივიდუალურად CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ.

თითოეული პროექტის ტექსტური ანგარიში უნდა შეიცავდეს პროექტის მიმდინარეობისა და მიზნების შესახებ ინფორმაციას.

თითოეული პროექტის ფინანსური ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ განაწილდა კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის მიღებული საგრანტო დაფინანსება.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული განიხილავს წარდგენილ ანგარიშებს, შეაფასებს მათ პროექტის განხორციელების საწყის გეგმასთან მიმართებით და მოამზადებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს გრანტების გამცემ კომისიას. CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ვალდებულია გამოკვეთოს ნებისმიერი ყურადსაღები საკითხი. გრანტების გამცემი კომისია უფლებამოსილია, დაამტკიცოს წარდგენილი ანგარიშები, ან მოსთხოვოს მხარეს დამატებითი განმარტებები. გრანტის ბენეფიციარებს ექნებათ 5 დღე გრანტების გამცემი კომისიისათვის დამატებითი განმარტებების წარსადგენად. აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს

ბენეფიციარის დასაბუთებული, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ანგარიშები უნდა დამტკიცდეს მანამ, სანამ გაიცემა დაფინანსების შემდგომი ნაწილი. გრანტების გამცემი კომისიის მიერ მიღებული ანგარიშების დამტკიცება უნდა განხორციელდეს სათანადო ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში. CIF-ის ადმინისტრირების ერთეული აცნობებს ბენეფიციარს, მის მიერ წარდგენილი ანგარიშების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

საბოლოო ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს პროექტის დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში. გრანტების გამცემი კომისია უფლებამოსილია, გაზარდოს აღნიშნული ვადა პროექტის განმახორციელებელი დაწესებულების წერილობითი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. დასაშვებია ვადის გახანგრძლივების უფლება მხოლოდ ერთხელ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ფორს-მაჟორული გარემოება.

10.7 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა

თითოეული პროექტი, საგრანტო პროექტის განხორციელების პროცესში უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოსა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია ელექტრონულად მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე:

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო - https://documents1.worldbank.org/curated/en/680481551093893455/pdf/Environmental-and-Social-Management-Framework.pdf

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო - https://documents1.worldbank.org/curated/en/672551551098424901/pdf/Resettlement-Policy-Framework.pdf

დოკუმენტები ასევე ხელმისაწვდომია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე:

MDF: Announcements - Inclusion, Innovation and Quality Project implementation in Georgia

10.8 სანქცირებული სუბიექტები

პროექტების განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მიმწოდებლები, კონსულტანტები, ექსპერტები, კონტრაქტორები ან/და მესამე მხარეები, რომლებიც ჩართულნი არიან CIF დაფინანსებაში, არ არიან საქართველოს კანონმდებლობით ან/და მსოფლიო ბანკის დებულებებით სანქცირებული. აღნიშნული მიზნებისთვის, საგრანტო პროექტის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, გადაამოწმოს მსოფლიო ბანკის მიერ სანქცირებულ სუბიექტთა სია, ვებგვერდზე: www.worldbank.org/debarr .

საგრანტო პროექტის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შეინახოს სათანადო ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ განხორციელდა მესამე პირის გადამოწმება შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმებამდე, ან/და ტრანზაქციის განხორციელებამდე.

10.9 პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა

სამინისტროს უფლება აქვს შეაჩეროს ან შეწყვიტოს CIF გრანტით დაფინანსებული პროექტი, შემდგომ გარემოებებზე დაყრდნობით:

ა) გრანტის მიმღები დადგენილ ვადაში არ წარადგენს ტექსტურ ან/და ფინანსურ ანგარიშს, და ვადის გაშვების შესახებ სათანადო (მისაღებ) განმარტებას არ წარუდგენს გრანტების გამცემ კომისიას, მიუხედავად ერთჯერადი ან მრავალი წერილობითი შეხსენებისა.

ბ) წარდგენილი წერილობითი ანგარიშები არ ასახავს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას საკვანძო შესრულების ინდიკატორებთან და მიზნებთან მიმართებით, და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, არ წარადგენს ისეთ გეგმას, რომელიც მისაღები იქნება გრანტების გამცემი კომისიისათვის.

გ) გრანტების გამცემი კომისია არ დაეთანხმება და დასაბუთებულად არ მიიჩნევს საგრანტო პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანის შესახებ ბენეფიციარის მიერ წერილობით წარმოდგენილ განმარტებას; მაგალითად, ცვლილება პერსონალის ან პარტნიორის შესახებ, მაშინ როდესაც ბენეფიციარს არ აქვს წარდგენილი მისაღები ალტერნატიული გეგმა.

დ) გრანტების გამცემ კომისიას ექნება მტკიცებულება, რომ პროექტი არ ხორციელდება შეთანხმებული მითითებების მიხედვით, რომლებიც უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტს, ანტიკორუფციულ და გარემოსდაცვით წესებს, და გრანტის მიმღები არ წარადგენს აღნიშნულის საწინააღმდეგო რელევანტურ მტკიცებულებას.

ე) გრანტის მიმღები წერილობით ითხოვს, რომ პროექტი შეჩერდეს ან შეწყდეს.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტების გამცემი კომისია მიიჩნევს, რომ პროექტის განხორციელება უნდა შეჩერდეს, ის ამის შესახებ წერილობით აცნობებს გრანტის მიმღებს და მიუთითებს, როგორც შეჩერების, ასევე პროექტის განახლებისათვის საჭირო ქმედებებისა და ვადების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტების გამცემი კომისია მიიჩნევს, რომ პროექტი უნდა შეწყდეს, ის ამის შესახებ აცნობებს სამინისტროს, ხოლო ეს უკანასკნელი გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას გრანტის მიმღებს, სადაც განმარტებული იქნება პროექტის შეწყვეტისა და, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ამ გადაწყვეტილების შედეგების შესახებ.

10.10 კონკრეტული პროექტების მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების მიზანია:

1. უზრუნველყოს პროექტების განხორციელება შეთანხმებულ გეგმასთან მიმართებაში (მათ შორის, გაწეული ხარჯების შესაბამისობა) და დაადგინოს, არის თუ არა პროექტის მიმდინარეობა სათანადო ეტაპზე;
2. დაადასტუროს პროექტით გათვალისწინებული შემდგომი დაფინანსების შესაძლებლობა (მეორე ტრანში);
3. გამოკვეთოს ის გადაუდებელი საკითხები ან წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც საჭიროებს დამატებით მოკვლევას და რომლებიც შესაძლოა, საჭიროებდნენ დამატებითი ქმედებების განხორციელებას ან პროექტის შეჩერებას/შეწყვეტას.

4. დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სამომავლოდ მათი პროექტების დაგეგმარება იყოს უფრო სრულყოფილი და უკეთესი;
5. ხელი შეუწყოს CIF-ის მექანიზმის შეფასებას და დახვეწას.

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით, ანგარიშგების ფორმით, რომელიც ეფუძნება თავდაპირველ საგრანტო განაცხადთან დაკავშირებულ წერილობით დოკუმენტაციას. აღნიშნული, ასევე, შეიძლება გულისხმობდეს, დამატებითი ინფორმაციების მიწოდების მოთხოვნებს, ასევე ადგილზე ვიზიტებს დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით.

კონკრეტულ პროექტებთან მიმართებით მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების განხორციელების ვალდებულება აქვს გრანტის მიმღებს. აღნიშნული პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს CIF-ის ადმინისტრირების ერთეული, რომელიც ამზადებს რეგულარულ დასკვნებს სამინისტროს სახელით და წარუდგენს გრანტების გამცემ კომისიას. აღნიშნულის მიზანია, გამოკვეთოს საგულისხმო საკითხები, რომელსაც ყურადღება უნდა დაეთმოს, მაგალითად - დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება, პროექტის შეჩერება ან შეწყვეტა, ან ადგილზე ვიზიტისა და დამოუკიდებელი/საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის საჭიროება, დამატებითი მოკვლევების მიზნით.

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები განხორციელდება სამ ძირითად ეტაპად:

ა) საწყისი ეტაპი: არსებული მდგომარეობა, რომელიც მოცემულია საგრანტო განაცხადში და ასახულია შესრულების ინდიკატორებში.

ბ) შუალედური შეფასება: არსებული პროგრესის შედარება სამიზნე ინდიკატორებთან;

გ) საბოლოო შეფასება: სამიზნე ინდიკატორების შესახებ ანგარიშგება პროექტის დასრულების შემდეგ.

შუალედური და საბოლოო შეფასებების ეტაპზე გამოიყენება როგორც ტექსტური, ისე ფინანსური ანგარიშების ფორმატი. ანგარიშგებისთვის სათანადო ფორმები თან ერთვის წინამდებარე სახელმძღვანელოს (დანართი №10ა და დანართი №10ბ) და მიეწოდება გრანტის მიმღებს, საგრანტო შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, ანგარიშის წარდგენის ეტაპებისა და მათი წარდგენის მეთოდოლოგიის (მაგალითად, შეიძლება განისაზღვროს ელექტრონული ფოსტის ან საგრანტო პორტალის მეშვეობით ინფორმაციის წარდგენა) შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

შუალედური ანგარიშგების გარდა, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული იტოვებს უფლებას, მოითხოვოს დამატებითი ანგარიშების წარდგენა, განახორციელოს ადგილზე ვიზიტი და ჩართოს დამოუკიდებელი და საერთაშორისო ექსპერტები. ნებისმიერი დამატებითი ანგარიშის მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და გრანტის მიმღებს უნდა მიეცეს 1 თვემდე ვადა მათ წარმოსადგენად. ადგილზე ვიზიტის შესახებ გრანტის მიმღებს უნდა წარედგინოს შეტყობინება სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე.

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგისა და შეფასების პროცედურისას ჩართულები იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტები, უნდა გაკეთდეს მოკლე ანგარიში, რომელიც შეაჯამებს ექსპერტთა ვიზიტს და, მათ შორის, ჩამოაყალიბებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს შემდგომი გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, მაგ. საგრანტო პროექტის შეჩერება, ვადამდე შეწყვეტა და სხვ.

თუ მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა გამოავლენს სერიოზულ გადაცდომებს პროექტის განხორციელებისას, მაშინ CIF-ის ადმინისტრირების ერთეული შეატყობინებს

აღნიშნულის შესახებ გრანტების გამცემ კომისიას, ხოლო ეს უკანასკნელი წარუდგენს წინადადებას სამინისტროს პროექტის შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე.

10.11 შესრულების ინდიკატორები

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული პასუხისმგებელია ჩამოაყალიბოს ერთიანი შესრულების ინდიკატორები CIF-სთვის. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხედვებს, მიზნებსა და მისწრაფებებს, რაც გააჩნია CIF-ს. ის დაკავშირებული უნდა იყოს ინდივიდუალურ საგრანტო ანგარიშგებასთან.

ინდიკატორების შედგენის პროცესში, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ითვალისწინებს ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანდოობასა და ვალიდურობას.

შესრულების ინდიკატორები თითოეული პროექტისთვის მოხსენიებული უნდა იყოს საგრანტო განაცხადში და ასახავდეს წინადადების შეფასების კრიტერიუმებს. ინდიკატორებს ასევე უნდა შეიცავდეს პროექტების ტექსტური ანგარიშებიც. შედეგების ინდიკატორები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის განხორციელების პერიოდს.

10.12 CIF-ის მექანიზმის საერთო მონიტორინგი და შეფასება

CIF-ის საერთო მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, რაც გულისხმობს, მათ შორის, ინდივიდუალური აპლიკაციების მიღების, საგრანტო განაცხადების შეფასების და პროექტების განხორციელების პროცესს, ასევე ერთიანი პროცედურების გამართულობასა და პასუხისმგებელი პირების ჩართულობას (გრანტების გამცემი კომისია), წარიმართება CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ, რომელიც მოქმედებს სამინისტროს სახელით. CIF-ის ადმინისტრირების ერთეული ასევე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ადგილზე ვიზიტის საჭიროების დროს, პროცესში ჩართოს დამოუკიდებელი ექსპერტები (მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტები).

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების მიზანია:

i) უზრუნველყოს, რომ CIF-ის მექანიზმი ხორციელდება სათანადოდ, რათა მიღწეულ იქნეს მისი მიზნები და ამოცანები და მოხდეს მისი დახვეწის შესაძლო გზების იდენტიფიცირება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლოდ;
ii) უზრუნველყოს, რომ კონკრეტული საგრანტო პროექტები განხორციელდეს სათანადოდ, მაქსიმალური შედეგის მიღწევით, და მოხდეს ნებისმიერი პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც შეამცირებს პროექტის ზეგავლენას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია არსებული პროექტის ფარგლებში.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული პროექტის მიმდინარეობისას, გრანტის მიმღებისა და დაინტერესებული პირების მხრიდან, მიიღებს უკუკავშირებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხება CIF-ის მექანიზმის გაუმჯობესებას.

მონიტორინგი და შეფასება უნდა იყოს მიმდინარე პროცესი, ფორმალური აქტივობებისათვის განსაზღვრული ზუსტი პერიოდულობით - როდესაც გრანტის მიმღებმა უნდა წარადგინოს ტექსტური და ფინანსური ანგარიშები. გარდა ამისა, CIF-ის ადმინისტრირების ერთეული უფლებამოსილია, მოითხოვოს, როგორც დამატებითი ანგარიშები, ისე არაგეგმიური ვიზიტები და ჩართოს პროცესში დამოუკიდებელი და საერთაშორისო ექსპერტები.

11. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

განაცხადები შეფასებული იქნება 4 ძირითად კრიტერიუმზე დაყრდნობით:

- განაცხადის ხარისხი და შესაბამისობა, ინოვაციურ ასპექტებზე აქცენტირებით;
- პარტნიორობის ხარისხი;
- გუნდის შემადგენლობა და ბიუჯეტი;
- განხორციელების გეგმა და მდგრადობა.

ყველა საგრანტო განაცხადი, შემფასებლების მიერ, უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული 4 კრიტერიუმის მიხედვით, „შესანიშნავიდან“ – „წარუმატებლის“ ჩათვლით. აღნიშნული შეფასებები ავტომატურად აისახება სათანადო ქულებში, ისე, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული:

0 - განაცხადი არ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს და ვერ იქნება შეფასებული გამორჩენილი ან არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
1 - სუსტი. კრიტერიუმი არასათანადოდ არის შესრულებული ან დაფიქსირდა არსებითი სისუსტეები.
2 - საშუალო. განაცხადი ზოგადად აკმაყოფილებს კრიტერიუმს, თუმცა იკვეთება მნიშვნელოვანი სისუსტეები.
3 - კარგი. განაცხადი აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს, მაგრამ შეინიშნება რიგი ნაკლოვანებები.
4 - ძალიან კარგი. განაცხადი ძალიან კარგად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს, შეინიშნება მცირე რაოდენობის ნაკლოვანებები.
5 - შესანიშნავი. განაცხადი სრულყოფილად აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა მნიშვნელოვან ნაწილს. არსებული ნაკლოვანებები არის უმნიშვნელო.

საგრანტო განაცხადები, რომლებიც დაიმსახურებენ 2 შემფასებლის (ან სამი შემფასებლის, თუ მე-3 შემფასებელი ჩართულია შეფასების პროცესში) მხრიდან ჯამურად, საშუალოდ 14 ან ნაკლებ ქულას, არ იქნება დასაშვები დაფინანსების მოპოვების მიზნებისათვის და არ აისახება საგრანტო პროექტების რანჟირებულ სიაში.

შეფასების თითოეული კრიტერიუმის თაობაზე დეტალური ინფორმაცია გაწერილია შემფასებლების სახელმძღვანელოსა (დანართი №2) და აპლიკანტების სახელმძღვანელოში (დანართი №1). აღნიშნული სახელმძღვანელოები ნათლად მოიცავს განმარტებას, თუ რა იგულისხმება შეფასების თითოეული კრიტერიუმის შინაარსში, ასევე როგორ ხდება აღნიშნულ კრიტერიუმის შეფასება და ქულის მინიჭება. შემფასებლები საგრანტო განაცხადს აფასებენ ჯერ კრიტერიუმების მიხედვით, შემდგომ აჯამებენ არსებით ძლიერ და სუსტ მხარეებს თითოეულ ნაწილში, ხოლო ბოლოს ხდება განსაზღვრული ქულის მინიჭება.

ქვემოთ მოცემულია ოთხივე ძირითადი კრიტერიუმის დეტალური განმარტება:

11.1 შეფასების კრიტერიუმი №1: განაცხადის ხარისხი და შესაბამისობა, ინოვაციურ ასპექტებზე აქცენტირებით

აღნიშნული შეფასების კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: ***რა არის პროექტის მიზნები და რატომ? რამდენად შეესაბამება წინადადების მიზნები შესაბამის სტრატეგიებს, პოლიტიკასა და პრიორიტეტებს? როგორი იქნება პროექტის მოსალოდნელი გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, სასწავლო გარემოზე და შრომის ბაზარზე კავშირების***

გაძლიერებაზე? რაში მდგომარეობს გამოყენებული კონცეფციებისა და მეთოდოლოგიის ინოვაციურობა/სიახლე/უნიკალურობა?

საგრანტო განაცხადი უნდა ფარავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ✓ *შემოთავაზებული მიზნებისა და ქმედებების დასაბუთება ინსტიტუციურ სტრატეგიულ გეგმასთან, კერძოდ, SWOT-თან მკაფიო დაკავშირებით;*
- ✓ *<u>რელევანტური</u> სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება;*
- ✓ *განმარტება თუ, როგორ არის თანხვედრაში წარმოდგენილი მიზნები სტრატეგიული ჩარჩოს <u>პრიორიტეტებთან;</u>*
- ✓ *მითითება, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, სასწავლო გარემოზე და შრომის ბაზარზე კავშირების გაძლიერებას;*
- ✓ *მკაფიო ხედვა დარგში თანამედროვე მიდგომის შესახებ და ახსნა, როგორ არის შესაძლებელი, წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, მიიღწეს ან გადაჭარბებულ იქნეს აღნიშნული, კონკრეტული, გაზომვადი შედეგებით. მაგალითად:*
  - *მიმდინარე პროგრამის შინაარსის აღწერილობით და მითითებით, თუ როგორ მოახდენს ახალი შინაარსი დარგის უახლეს ტენდენციებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას;*
  - *საუდიტორიო სწავლების აღწერით და მითითებით, თუ როგორ არის შესაძლებელი სიახლეების დანერგვა ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;*
  - *მიმდინარე სპეციფიკური სისუსტეების გამოყოფით, რომელებიც აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შრომის ბაზართან კავშირში და იმის მითითებით, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული მდგომარეობის გაუჯობესება სათანადო დამსაქმებლების ჩართულობით;*
  - *იმის ახსნით, თუ როგორ აფერხებს არსებული ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ მიაღწიონ მათ მიერ დასახულ მიზნებს და როგორ არის შესაძლებელი აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება, მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების გზით;*
  - *საგანმანათლებლო სისტემაში არსებული გენდერული დისბალანსის გამოკვეთით, განსაკუთრებით - სამეცნიერო, ტექნიკური, საინჟინრო და მათემატიკის - STEM საგნების მიმართ და დეტალური სამოქმედო გეგმების აღწერილობით, თუ როგორ არის შესაძლებელი მდედრობითი სქესის სტუდენტების ჩართულობის გაზრდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში STEM საგნებში;*

  და სხვა.

11.2 შეფასების კრიტერიუმი №2: პარტნიორობის ხარისხი

აღნიშნული კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: ***რომელი პარტნიორები არიან ჩართული პროექტში და როგორ მოხდა პარტნიორობის ფორმირება? როგორია პარტნიორობის ხარისხი?***

საგრანტო განაცხადი უნდა ფარავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ✓ *განმარტება, თუ როგორ შეიქმნა პარტნიორობა (ან კონსორციუმი) და როგორ იმოქმედა საბოლოო შემადგენლობამ საგრანტო პროექტის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, ასევე, რომელი პარტნიორები არიან უშუალოდ ან ირიბად ჩართულნი პროექტის განხორციელებაში;*
- ✓ *განმარტება, თუ როგორ შეესაბამება პარტნიორობა/კონსორციუმი პროექტის მიზნებს;*
- ✓ *განმარტება, თუ რა პოზიტიური გავლენა აქვს ძირითად პარტნიორობას/კონსორციუმს - როგორ აძლიერებს არსებულ რესურსებს, მათ შორის, არსებულ უნარებს, ცოდნას, გამოცდილებას/შესაძლებლობებს, ასევე წვდომას პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელ კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და, ამავდროულად, აუცილებელია გრძელვადიანი გავლენის, გაზომვადი და სასარგებლო შედეგისათვის;*
- ✓ *განმარტება, როგორ მიიღებენ პარტნიორები მაქსიმალურ სარგებელს პროექტის განხორციელებით.*

11.3 შეფასების კრიტერიუმი №3: გუნდის შემადგენლობა და ბიუჯეტი

აღნიშნული კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: ***რა რესურსებია (ადამიანური და ფინანსური) საჭირო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის?***

საგრანტო განაცხადი უნდა ფარავდეს შემდეგ ასპექტებს:

<u>*გუნდი:*</u>

- ✓ *პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალი და მათი როლი მკაფიოდ განსაზღვრულია;*
- ✓ *პროექტის მენეჯერს აქვს დადასტურებული გამოცდილება, მათ შორის, შესაბამისი გამოცდილება კომპლექსური პროექტის მართვისთვის;*
- ✓ *პროექტის გუნდს აქვს საკმარისი სამეცნიერო/ტექნოლოგიური პოტენციალი პროექტის განსახორციელებლად და მისი მიზნების მისაღწევად (ძირითადი პუბლიკაციები და სხვა შედეგები, საჭირო ცოდნა, წინა სამეცნიერო მიღწევები, შესაბამის პროექტებში მიღებული გამოცდილება);*
- ✓ *პროექტის გუნდს აქვს ადექვატური ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია (პროექტის გუნდის წევრებს შორის, უნივერსიტეტთან, პარტნიორებთან/კონსორციუმთან და პროექტის სხვა მონაწილეებთან) პროექტის განხორციელებისთვის.*

<u>*ბიუჯეტი:*</u>

- ✓ *წარმოდგენილია ბიუჯეტი, რომელიც ასახავს აღწერილ აქტივობებს;*
- ✓ *ახსნილია, რამდენად შეესაბამება ბიუჯეტის პუნქტები პროექტის მიზნებსა და ამოცანებს, როგორ გამოიყენება ის კონკრეტული აქტივობებისათვის, და როგორ უზრუნველყოფს ეს პროექტის შედეგების მიღწევას;*
- ✓ *აღწერილია თანადაფინანსების არსი და პროპორციები.*
- ✓ *აღწერილია ნებისმიერი რესურსი, რომელიც საჭიროა ან რომელიც მატებს პროექტს ღირებულებას, მაგრამ არ არის გადახდილი უშუალოდ CIF გრანტიდან.*

11.4 შეფასების კრიტერიუმი №4: განხორციელების გეგმა და მდგრადობა

აღნიშნული კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: ***როგორია პროექტის განხორციელების გეგმა და რამდენად მიჰყვება ის ლოგიკურ სტრუქტურას? შესაძლებელია თუ არა შედეგების მდგრადობა და როგორ? რა რისკები არსებობს და როგორია მათი დაძლევის გზები?***

საგრანტო განაცხადი უნდა ფარავდეს შემდეგ ასპექტებს:

<u>განხორციელების გეგმა:</u>

- ✓ არსებობს მკაფიო, მაგრამ ლაკონური სამოქმედო გეგმა შესაბამისი ეტაპებისა და მიღწევების მითითებით;
- ✓ სამოქმედო გეგმა აღწერს აქტივობებს, მათ შორის, ხანგრძლივობას, თანმიმდევრობას და კავშირებს აქტივობებს შორის ისე, რომ ეს ნათელი, გაზომვადი და განხორციელებადია;
- ✓ სამოქმედო გეგმას თან ახლავს სქემა და წარმოდგენილია მკაფიო კავშირი სხვადასხვა კომპონენტებს/სამუშაო ეტაპებს შორის.
- ✓ წარმოდგენილია რისკების ანალიზი და შეთავაზებულია მოსალოდნელი რისკების დაძლევის გზები, მათ შორის, გაუთვალისწინებელი/ფორს-მაჟორული გარემოებებისათვის შედეგების შესამსუბუქებლად.

<u>მდგრადობა:</u>

- ✓ დემონსტრირებულია შესაძლებლობა, გრანტით შექმნილი საუკეთესო პრაქტიკის სისტემატიზაციის უზრუნველსაყოფად;
- ✓ დემონსტრირებულია მკაფიო ცოდნა, თუ რა არის საჭირო (ღირებულება) იმისათვის, რომ სამომავლოდ შენარჩუნდეს აქტივობების მდგრადობა;
- ✓ განმარტებულია, თუ როგორ იქნება ეფექტიანად გამოყენებული პროექტისთვის შესასყიდი თანამედროვე აღჭურვილობა პროექტის დასრულების შემდეგ;
- ✓ აღწერილია ხარჯები რაოდენობრივად და კატეგორიების მიხედვით, განსაზღვრულია მომავალი დაფინანსების წყაროები - შიდა და გარე წყაროების მითითებით - საიდანაც მოხდება ხარჯების დაფარვა.

12. გასაჩივრების მექანიზმი

აპლიკანტებს, რომლებიც არ არიან კმაყოფილი დამდგარი შედეგით, უფლება აქვთ შეიტანონ დასაბუთებული საჩივარი, რომელიც შეეხება:

ა. ადმინისტრაციულ შემოწმებას - შეფასების პირველ ეტაპზე (CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის მიერ დაშვებული აშკარა ხარვეზების, გამორჩენების ან შეცდომების მითითებით);

ბ. შეფასების პროცესს - შეფასების მეორე ეტაპზე (გრანტების გამცემი კომისიის მიერ დაშვებული აშკარა ხარვეზების, გამორჩენების ან შეცდომების მითითებით);

საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას წერილობით, არაუმეტეს 500 სიტყვის მოცულობით, შეფასების შედეგების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 8 კალენდარული დღის ვადაში. საჩივრის შინაარსი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ საგრანტო წინადადებაში უკვე მითითებული ინფორმაციის განმარტებას და, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა ცვლიდეს საგრანტო პროექტის შინაარსს.

საჩივრების განმხილველი კომისია ადასტურებს საჩივრის მიღებას 3 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს - საჩივრის მიღების დღიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

საჩივრების განმხილველი კომისია იქმნება მინისტრის ბრძანებით. კომისია შედგება სამი წევრისგან. კომისიის წევრი შესაძლოა იყოს სამინისტროს თანამშრომელი ან/და მოწვეული

პირი. კომისიის წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა იკვეთებოდეს, რომელიმე საჩივართან დაკავშირებით, ინტერესთა კონფლიქტი.

საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს არ გააჩნია უფლება, უარი თქვას ხმის მიცემაზე. ნებისმიერი წევრი, რომელიც უმცირესობაში აღმოჩნდება და არ დაეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, საკუთარი განსხვავებული აზრი დაურთოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

კომისიის წევრები არ არიან ვალდებულნი საჩივრის განსახილველად მოაწყონ საერთო შეხვედრა. განხილვის პროცესი დასაშვებია წარიმართოს წევრების მიერ საჩივრის ინდივიდუალურად შესწავლის გზით. კომისიის წევრებს ასევე შეუძლიათ, მოაწყონ ერთობლივი შეხვედრები, როგორც ონლაინ, ისე დასწრებულ რეჟიმში. კომისია არ არის ვალდებული დააოქმოს საჩივრის შესასწავლად გამართული შეხვედრები.

კომისიის მუშაობის ორგანიზების მიზნით, მინისტრს უფლება აქვს, დაამტკიცოს სამინისტროს თანამშრომლებისგან შემდგარი საორგანიზაციო ჯგუფი. ალტერნატივის სახით, ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს CIF-ის ადმინისტრირების ერთეულმა. საორგანიზაციო ჯგუფი/CIF-ის ადმინისტრირების ერთეული დაეხმარება კომისიის წევრებს სათანადო ინფორმაციის შეგროვებაში, ინფორმაციის გამოთხოვასა და სხვა საორგანიზაციო საკითხებში.

საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს საჩივრის დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების თაობაზე სათანადო წინაპირობებსა და განმარტებებს.

საჩივრების განმხილველი კომისია განიხილავს მხოლოდ საგრანტო განაცხადის იმ ვერსიას (ორიგინალს), რომელიც წარდგენილ იქნა საჩივრის ავტორის მიერ და რომლის შეფასებაც განხორციელდა CIF-ის ადმინისტრირების ერთეულისა და/ან გრანტების გამცემი კომისიის მიერ. აპლიკანტს არ აქვს უფლება, მოითხოვოს სხვა აპლიკანტის შეფასების შედეგების გასაჩივრება.

საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაეგზავნება მინისტრს, საბოლოო დამტკიცების მიზნით. სამინისტროს მიერ საჩივრების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ, შედეგები ეცნობება გრანტების გამცემ კომისიას.

სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებასთან ერთად, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჩივრის ავტორს უფლება აქვს, უკან გამოიხმოს მის მიერ შეტანილი საჩივარი, კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ასეთ შემთხვევაში, კომისია აღარ აგრძელებს საჩივრის განხილვის პროცედურას.

13. აუდიტის პროცედურა

პროექტის დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღებმა უნდა ჩაატაროს ფაქტობრივი ხარჯების აუდიტი.

აუდიტორად შესაძლოა შერჩეულ იქნეს სუბიექტი, წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-11 დანართში გაწერილი ტექნიკური დავალების შესაბამისად.

აუდიტის ხარჯების დაფინანსება შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს პროექტის ბიუჯეტით.

გრანტის მიმღებმა პროექტის დასრულებიდან 2 თვის ვადაში უნდა წარუდგინოს სამინისტროს აუდიტორული დასკვნა და მენეჯმენტისთვის წერილი. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ წარადგენს აღნიშნულ დოკუმენტაციას, იგი ვალდებულია, 2 თვიანი ვადის გასვლიდან, 10 დღის განმავლობაში, სრულად დააბრუნოს პროექტის ფარგლებში მიღებული საგრანტო თანხა.

საგრანტო თანხის მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საბოლოო ანგარიშსწორების თანხას, ანაზღაურდება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა და მენეჯმენტისთვის წერილი არასრულყოფილია ან/და გამოკვეთილია რაიმე ტიპის შეუსაბამობა ბიუჯეტსა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის, ან/და სახეზეა არასათანადო ხარჯების გაწევის ფაქტი, აპლიკანტი ვალდებულია აანაზღაუროს აღნიშნული სხვაობა 10 სამუშაო დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც წარუდგენს სამინისტროს აუდიტორულ დასკვნას ან/და მოითხოვოს აღნიშნული თანხის გამოქვითვა საბოლოო ანგარიშსწორებიდან.

14. კონფიდენციალურობა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

ნებისმიერმა მხარემ, რომელიც ჩართული იქნება CIF-ის ფარგლებში, უნდა გამოიჩინოს მაღალი ეთიკური სტანდარტებისადმი ერთგულება და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული დებულება მოქმედებს, როგორც საგრანტო პროექტების მიღების, ისე მათ შეფასებისა და განხორციელების ეტაპებზე. საგრანტო განაცხადების შემფასებლებისთვის გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დამატებითი და დეტალური რეგულაციები (იხ. დანართი №2).

ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი შემთხვევებით: ნებისმიერი წარსული/მიმდინარე/სამომავლო ეკონომიკური, ფინანსური და კერძო (პარტნიორებისა და ნათესავების გამო) პირდაპირი/ირიბი ინტერესი, ისევე როგორც საკუთრების ან სხვაგვარი უფლებრივი კავშირი, ერთი მხრივ, შემოთავაზებული საგრანტო პროექტის თანამშრომლებს, საგრანტო პროექტის წარმდგენ/მიმღებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველ სუბიექტებს/თანამშრომლებსა და, მეორე მხრივ, CIF-ის ადმინისტრირების ერთეულის თანამშრომლებს, გრანტების გამცემი კომისიის წევრებს ან შემფასებლებს შორის.

დაფინანსებული საგრანტო პროექტის ნებისმიერი თანამშრომელი, ასევე საგრანტო პროექტის წარმდგენი/მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის წევრი, ვალდებულია CIF-ის ადმინისტრირების ერთეულს აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია, იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება, რომ მას აქვს პირდაპირი ან ირიბი (პარტნიორებისა და ნათესავების გამო) ეკონომიკური, ფინანსური ან/და პირადი ინტერესი, ნებისმიერ ასოციაციასთან ან ორგანიზაციასთან (მათ შორის, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი), რომელთანაც გრანტის მიმღებ დაწესებულებას გაფორმებული აქვს რაიმე სახის ხელშეკრულება ან გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას (ან სხვა ნებისმიერ ტრანზაქციას). CIF-ის ადმინისტრირების ერთეული აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს გრანტების გამცემ კომისიას. ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირებმა თავი უნდა შეიკავონ კონფლიქტის წარმოშობის გარიგებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ნებისმიერ ნაწილში მონაწილეობისგან.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგრანტო პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ იდენტიფიცირდება რაიმე სახის

თაღლითობა, პროექტის რესურსების გაფლანგვა ან არასათანადო გამოყენება, აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს. რექტორის მხრიდან არასათანადო რეაგირების შემთხვევაში, იგივე გუნდი წერილობით აცნობებს ზემოაღნიშნული გარემოების შესახებ გრანტების გამცემ კომისიას, პარალელურად შეტყობინების ასლი გადაეცემა თაღლითობაში/საეჭვო მოქმედებაში ჩართულ პირსაც.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული, გრანტების გამცემი კომისია და საკონსულტაციო კომპანია, რომელთაც აქვთ წვდომა CIF-ის ფარგლებში საგრანტო განაცხადზე, ხელს აწერენ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადს - თანამშრომლებისთვის (დანართი №7ა). საკონსულტაციო კომპანია ასევე უზრუნველყოფს შეფასების პროცესში ჩართულ თითოეულ შემფასებელთან კონფიდენციალურობის შეთანხმების გაფორმებას. ამ შეთანხმებისა და განაცხადის მოქმედების ვადად მიჩნეულია CIF-ის განხორციელების პერიოდი და შესაძლებელია გაგრძელდეს სამინისტროს ინიციატივით.

ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადის ფორმას მხარეებს აწვდის CIF-ის ადმინისტრირების ერთეული.

CIF-ის ადმინისტრირების ერთეული გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს პროექტში მონაწილე ყველა ორგანიზაციისა და გუნდის იდეებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადის მეშვეობით.

CIF-ის ფარგლებში მიღებული განაცხადები არ გადაეცემა, გრანტების გამცემი კომისიის, საკონსულტაციო კომპანიისა და შემფასებლების გარდა, სხვა რომელიმე გარეშე პირს. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ მათ მიერ წარდგენილი საგრანტო განაცხადი არ შეიცავდეს კონფიდენციალურ ინტელექტუალურ საკუთრებას, ხოლო მაშინ, როდესაც ეს შეუძლებელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, რომ აღნიშნულის შესახებ აცნობონ CIF-ის ადმინისტრირების ერთეულსა და გრანტების გამცემ კომისიას, და განაცხადში ყველა ასეთი ინფორმაცია მკაფიოდ მონიშნონ, როგორც კონფიდენციალური.

დანართების ჩამონათვალი:

№1	სახელმძღვანელო აპლიკანტებისთვის
№2	შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო შემფასებლებისთვის
№3	საგრანტო განაცხადის ფორმა
№3ა	პროექტის შედეგებისა და მონიტორინგის გეგმა
№3ბ	საზოგადოების ჩართულობის გეგმა
№4	ბიუჯეტის ფორმა
№5	CV-ის ფორმა
№6	კონსორციუმის შეთანხმების ფორმა
№7ა	ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადი – თანამშრომლებისთვის
№7ბ	ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების განაცხადი – აპლიკანტებისთვის
№8	CIF-ის აპლიკანტის განაცხადის ფორმა
№9	საგრანტო ხელშეკრულების ფორმა
№10ა	ფინანსური ანგარიშის ფორმა
№10ბ	ტექსტური ანგარიშის ფორმა
№11	ტექნიკური დავალების ნიმუში აუდიტორის შესარჩევად